საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 4 ივნისი, 2013 წელი.

№102 (7229)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჯიბეებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

გია მეფარიშვილი: ნამდვილად არ მგონია, რომ პროკურატურა პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებს

3

არა - პედერასტობას, ანუ არა – ნეოლიბერალურ დიქტატურას!



4

ყველა გვატყუებს: პრეზიდენტიც, გუბერნატორიც...

5

მავთულხლართების გავლებას საზღვრის აღდგენას არქმევენ

2

საქართველო სასაზღვრო დავა უმაღლეს დონეზე აიყვანა

8

დევნილთა განსახლება და გამოსახლება

6

დაბეჭდილია მილიონნახევარი სასკოლო სახელმძღვანელო

„ვოშინგტონ პოსტის“ შეცდომა: საქართველოში დემოკრატია უსაფრთხოდაა

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბიძინა ივანიშვილი ჯეიმს აპატურაის შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს ჯეიმს აპატურაის შეხვდა.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრა პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაში გაიმართა. მხარეებმა საქართველოს ნატოში ინტეგრაციის საკითხებზე ისაუბრეს.

პრემიერმა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს ჯეიმს აპატურაის ინტეგრაციის პროცესში პირადი ჩართულობისთვის მადლობა გადაუხადა.

საუბარი შეეხო ჩრდილოატლანტიკური საბჭოს (NAC) დაგეგმილ ვიზიტს საქართველოში. გამოითქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული ვიზიტი ჩრდილოატლანტიკური საბჭოსთვის იქნება კარგი შესაძლებლობა, რათა ადგილზე გაეცნოს საქართველოში მიმდინარე პროცესებს და კიდევ ერთხელ დაფიქსიროს საქართველოს ინტეგრაციის კურსისა და რეფორმების მიმართ ალიანსის მხარდაჭერა.

◎ ფეისბუქიდან

წერტილოვანი ფრაზები

● მერე რას ამბობს იაპონია? — რაო და, იაპონიას მოატყუებ შენ? რაც ზემოთაა, ცხრა იმდენი მიწის ქვემოთაა... — თურქეთი რაღას ჩივა? აქტუალური დიალოგია...როდის დასვეს გურულებმა ეს კითხვა? ... დედაა...ეხლა ეს თურქეთი რომ გადირიოს და აქეთ გადმოგვიხტეს...რა გინდა მერე რო გააკეთო ?

● აფსუს, არაა მოტორზე, თორემ ერთ რევოლუციას თურქეთშიც მშვენივრად მოახდენდა ჩვენი „ჩე გევარა“ თარგამაძე! მაგალითად, „თელიანი ველის“ პროდუქციას დაარიგებდა იზმირსა და სტამბულში... ან „ქეთო და კოტეს“ დემოკრატიული მიუზიკლით შეაზანზარებდა ისლამისტებს.

● რუსები ტერიტორიებს გვართმევენ, ამერიკელები ენას და სარწმუნოებას. რა უნდათ ჩვენგან? რუსები ტერიტორიებს თავისი ჯარისკაცებით გვართმევენ — ხოლო ამერიკელები ენას, სარწმუნოებას და ტრადიციებს ფულზე გაყიდული ქართველების დახმარებით. მისცეს ქართველ კაცს ფული და ყვირის, არ ვარ კაცი — ქალი ვარ, გათხოვება მინდაო. ამით დავიბრუნებთ ჩვენ რამეს? ან საერთოდ ვართ ღირსები? მე ვთქვი პედერასტების ქვეყანა უნდათ-თქო 2010 წელს ... ქსენოფობიურად რომ არ გამომივიდეს, რა ქვია ამას, იქნებ თქვას ვინმემ?

● და რა მერე, განა ქვეყნის პრეზიდენტი არ უნდა გამოიყურებოდეს კოხტად და ლამაზად? აბა გვინდა, რომ სადმე მსოფლიო ფორუმზე დაგვაჯული, დაბერებული და ჭაღარა მკერდიანი კაცუნა წარმოადგენდეს ჩვენს კალთაგადაფარებულ ქვეყანას? არა, არ გვინდა, რასაკვირველია. ბოტოქსიც უნდა გაიკეთოს და იღლიებიც დაიდეზოდოროს. აბა რა! და სწორედ, რომ ბიუჯეტის ხარჯზე! ბიუჯეტში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ეს გარემოებანი. და კიდევ ბევრი სხვა!

● საიტ Pontifex-ის რედაქტორის კითხვებზე პასუხისას, პროფესორი ბრუნო აცხადებს, რომ „ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გადაწყვეტილება მიიღო, რომ არ ისაუბროს ჰომოსექსუალიზმზე, როგორც ავადმყოფობაზე... მაგრამ მე მაინც იგივე აზრის ვარ და გეების კრიტიკის არ მეშინია. ჰომოსექსუალიზმი — ეს გადახრაა“. ჰომოსექსუალისტები სხვადასხვა მიზეზით ხდებიან, მათ შორის აუხსნელი მიზეზებით, რომლებიც ბუნებრივ ხასიათს ატარებენ. „კონცეპტუალური მოსაზრებით, ჰომოსექსუალისტი იმავე მდგომარეობაშია, რომელშიც ინვალიდია, ყრუ და ბრმა... გეები სექსუალური ხასიათის ქმედებებზე არიან ორიენტირებულები და ეს არის ნორმიდან გადახრა“,-ირწმუნება ფსიქიატრი.

● გურამ შარაძის საზოგადოება:

„გიორგი ბარათელის მიმართვამ და თხოვნამ არ გაჭრა, არც ჩემმა 6-წლიანმა მუდარამ გაჭრა... მაგრამ კიდევ ერთხელ, ვთხოვ და მოვუწოდებ საზოგადოებას, პოლიტიკოსებს, მოქალაქეებს, ქართველებს და არაქართველებს, კაცებს, ქალებს, საშუალო სქესის წარმომადგენლებს!!!! ხმა ამოიღეთ გურამ შარაძის მკვლელობაზე. იმაზე მაინც ამოიღეთ ხმა, რომ უდანაშაულო კაცი - გიორგი ბარათელი ტყულად იხდის 26-წლიან სასჯელს და ახლა კიდევ 2 წელი ასევე უკანონოდ დაუმატეს, მაშინ, როდესაც მომჩივანი არ ჰყას. ხალხი არ ხართ, ადამიანის ხორცი არ გაბიათ?!“

● ანჟელა არუთინოვა (ბუშის “მოდელირებული თავდამსხმელის“ დედა):„...სააკაშვილს ძალიან სურდა, ბუშისთვის თავი მოეწონებინა და ერთგულება დაემტკიცებინა და ამიტომაც დაიდგა ეს უნიჭო სპექტაკლი... იმიტომ (შეგვარჩიეს), რომ ჩვენ უპატრონოები ვართ... ძალიან კარგად იცოდნენ, რომ მე დეზერტირების ბაზარში „სალფეტკებს“ ვყიდდი და არავინ მყავდა, ვინც დამიცავდა!... ყველას ვთხოვ, დამეხმარეთ და გულთან ახლოს მიიტანეთ ჩემი ტრაგედია. ჩემი უდანაშაულო შვილი 8 წელია, სულ ტყუილად არის ციხეში, ერთკაციან საკანში გამოკეტილი... მე მხოლოდ მისი საქმის გადახედვას და ხელახალი გამოძიების ჩატარებას ვითხოვ!“

● თურქეთში მიმდინარე პროცესები ძალიან საინტერესოდ ვითარდება. ეკოლოგებმა გააპროტესტეს სტამბულის ცენტრში პარკის გაჩეხვის გეგმა, ხელისუფლებამ შეუტია ეკოლოგებს და შედეგად მიიღო საერთო სტუდენტური მღელვარება. სტუდენტობა უკვე ითხოვს თურქეთის პრემიერის გადადგომას და თურქეთის სეკულარულ სახელმწიფოდ შენარჩუნებას. როგორც ჩანს, თურქეთში კლერიკალების აღმავლობის პერიოდი დასრულდა.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძე

◎ ალიან-ჩალიანი

პარლამენტს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს საქმეს რა გამოულევს

17 მაისს, რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით მოქალაქეთა ერთი ჯგუფის მიმართვა და მასთან ერთად 12 000 ხელმოწერა უკვე პარლამენტშია.

გარდა ამისა, პარლამენტს უკვე წარედგინა 19 მაისს პოლიტპატიმართა ყრილობაზე მიღებული პეტიცია, რომლის მთავარ მოთხოვნას წინა ხელისუფლების გასამართლება წარმოადგენს. ორივე დოკუმენტი ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტშია შესული.

როგორც „ინტერპრესნიუსს„ კომიტეტის ხელმძღვანელმა ეკა ბესელიამ განუცხადა, 19 მაისის ყრილობაზე მიღებულ მიმართვასთან დაკავშირებით კომიტეტი სხდომას გამართავს.

რაც შეეხება მოქალაქეთა იმ ჯგუფის მიმართვას, რომლებიც პარლამენტისგან და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან 17 მაისის ინციდენტზე სათანადო რეაგირებას ითხოვენ, ბესელიას თქმით, საკითხს ჯერ კომიტეტის აპარატი სწავლობს და ის კომიტეტზე მას შემდეგ გავა, რაც აპარატი მუშაობას დაასრულებს.

სადაც ჩახვალ, იქაური ქუდი დაიხურეო

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანია საქართველოდან უცხოეთში წასვლის მსურველებს მოუწოდებს, მასპინძელი ქვეყნის წესები დაიცვან.

როგორც დავით ჯალაღანიამ საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა, საზაფხულო სეზონიდან გამომდინარე, უცხოეთში საქართველოს მოქალაქეების მისვლა-მოსვლა გააქტიურდება. აქედან გამომდინარე, ჯალაღანია საქართველოს მოქალაქეებს მოუწოდებს, მაქსიმალურად, შესაძლებლობის ფარგლებში დაიცვან ის წესები და მოთხოვნები, რომლებიც მასპინძელი ქვეყნის ტერიტორიაზე ვრცელდება.

მინისტრის მოადგილე საქართველოს მოქალაქეებს მოუწოდებს, მჭიდრო კავშირი იქონიონ საქართველოს საელჩოსთან და საკონსულოსთან, რომლებიც ჯალაღანიას შეფასებით, „მინიმუმ, მათ არასასიამოვნო სიურპრიზებს აარიდებს“.

აღნიშნული კომენტარი დავით ჯალაღანიამ ეგვიპტეში საქართველოს მოქალაქეების დაკავების საკითხის კომენტირებისას გააკეთა. მისი ინფორმაციით, ადგილი ჰქონდა სამწუხარო გაუგებრობას, რის გამოც, ეგვიპტის მხარემ ბოდიში მოიხადა და ინციდენტი ამოწურულია.

ეგვიპტის ადგილობრივმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ხურგადას პოლიციამ კუნძულნაკრძალზე საქართველოს მოქალაქეები პორნოფილმის გადაღებებისას დააკავა. მოგვიანებით გაირკვა, რომ კუნძულზე ქართველების ჯგუფი ფოტოსესიას მართავდა. ამ დროისთვის ეგვიპტეში დაკავებული საქართველოს მოქალაქეები გათავისუფლებული არიან.

საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის საჭიროების შეფასების მისია იმყოფება

საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის საჭიროების შეფასების მისია იმყოფება. შეხვედრა გაიმართა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ჯანდაცვის სამინისტროდან აცნობეს, ვიზიტის მიზანია სამომავლო თანამშრომლობა და საქართველოს ხელისუფლებისათვის გაცნობა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის აღსრულება.

მისიის წევრებმა ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს მოსაზრებებიც მოისმინეს. მათ განემარტათ თუ რა არის ქვეყნისთვის კონვენციის მუხლებიდან ყველაზე რთულად შესასრულებელი საკითხები.

მისიის ვიზიტი საქართველოში რამდენიმე დღე გაგრძელდება, გაიმართება შეხვედრები, როგორც აღმასრულებელი ისე საკანონმდებლო ხელისუფლების წევრებთან.

ინტერპრესი

◎ კონფლიქტის ზონა

მავთულხლართების გავლებას საზღვრის აღდგენას არქმევენ

ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვარზე შექმნილ ვითარებაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს ფილიპ ლეფორს ესაუბრა. ამის შესახებ ინფორმაციას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, რუსეთის მხარემ ლეფორს აცნობა, რომ მარტში გამართულ ჟენევის მოლაპარაკების მორიგ რაუნდზე ეს საკითხი ქართული მხარის მიერ იქნა წამოწეული. იმავე შეხვედრაზე სამხრეთ ოსეთის მხრიდან იყო საპასუხო რეაქცია, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოს მოეწყო საკუთარი სახელმწიფო საზღვარი. საუბრის დროს ასევე აღინიშნა, რომ საქართველოში წინასაარჩევნოდ სიტუაციის გამწვავება, მით უმეტეს, რუსეთის ფედერაციის მიმართულებით „ისრების გადატყორცნა“, უსამართლოა.

როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება, ევროსაბჭოს სპეციალურ წარმომადგენელ ფილიპ ლეფორს კარასინმა ასევე მოახსენა, რომ სამხრეთ ოსეთის მხარემ არაერთხელ დააყენა საზღვრის დემარკაციის საკითხი, თუმცა ქართულმა მხარემ სხვადასხვა საბაბით თავი აარიდა ამ საკითხს.

* * *

უსუფაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, დიცთან დაკავშირებული მოვლენები კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელ ჯეიმს აპატურაისთან შეხვედრაზე განიხილა, ვინაიდან ამ ტიპის პრობლემების გადაჭრა ნატოსთან, ევროპასთან და აშშ-სთან სინქრონულ მოქმედებას საჭიროებს.

„ჩვენ ვისაუბრეთ დიცში განვითარებულ მოვლენებზე. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ აპატურაის იმ განცხადებისთვის, რაც მან გააკეთა და ცხადია, ეს არის ნატო-ს პოზიცია. ეს არის სწორი გზა ასეთ საკითხებზე რეაგირების, რადგან, როგორც ჩანს, არის მცდელობა გარკვეული პროვოცირების ახალი ხელისუფლების მხრიდან ემოციური რეაქციებისა ასეთ თემებზე. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა და მინდა დავადასტურო, რომ ჩვენი პოზიცია იქნება პრინციპიული, მაგრამ კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ასეთ საკითხებში სწორედ ნატოსთან, ევროპელ და ამერიკელ მეგობრებთან ერთად სინქრონულად უნდა ვიმოქმედოთ. არასინქრონულმა მოქმედებამ რა შედეგიც მოიტანა, 2008 წლის აგვისტოში, ეს უკვე ვნახეთ, აქედან გამომდინარე, ჩვენ სხვანაირად გავუმკლავდებით ამ პრობლემას“, — აღნიშნა უსუფაშვილმა.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ განსჯა

გია მეფარიშვილი: ნამდვილად არ მგონია, რომ პროკურატურა პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებს

ПРОКУРАТУРИС ის ფორმა, რაც წლების განმავლობაში საქართველოში იყო, აბსოლუტურად მიუღებელია, — აცხადებს ჩვენთან ექსკლუზიურ ინტერვიუში ყოფილი გენპროკურორი, პროფესორი გია მეფარიშვილი. ის ასეთი სისტემის ჩამოყალიბებაში გარკვეულწილად საკუთარ წილ პასუხისმგებლობასაც გრძნობს. გამოსავალს კი არა ცალკეული პიროვნებების, არამედ სისტემის ძირეულ ცვლილებებში ხედავს.

მთავარია, ურთიერთგაწონასწორების პრინციპი; ერთ სტრუქტურას დიდი ძალაუფლება არ უნდა მისცე

— ბატონო გია, სანამ უშუალოდ პროკურატურის საქმიანობას შევეხებოდეთ, საინტერესოა, როგორ შეაფასებთ ბოლოდროინდელ დაკავებებს: მერაბიშვილის, ჭიაბერაშვილის, მიიჩნევთ თუ არა, რომ რაიმე დოზით აქ პოლიტიკა ფიგურირებს?

— ტერმინი „პოლიტიკური დაკავებები“ არ ვიცი, რამდენად გამართლებულია, მაგრამ მოდით, უდანაშაულობის პრეზუმფციას პატივი ვცეთ, ყველაფერი გამოიკვეთება, გამოძიება მალე დასრულდება. დღევანდელი კანონმდებლობა იმის საშუალებას იძლევა, რომ ამ პროცესების მონიტორინგი განხორციელდეს. საქმის ტრანსლირება მოხდეს მთელი საქართველოს მასშტაბით; ახლახან შევიდა კანონი ძალაში და, სავარაუდოდ, განხილვაში ნაფიცი მსაჯულები მიიღებენ მონაწილეობას. ასე რომ, იმ კითხვებს, რომლებიც საზოგადოებას აწუხებს, არის თუ არა პოლიტიკური მოტივი, პასუხი ცხადად გაეცემა. მე პროფესიონალად მივიჩნევ საკუთარ თავს, ამდენად, ნაჩქარევ დასკვნებს არ გავაკეთებდი... ძალიან დიდი სამუშაო აქვს პროკურატურას. მან ყველაფერი უნდა გააკეთოს, ასევე სასამართლომ, რომ ეჭვები გაქარწყლდეს. ფაქტია, რომ ეჭვები არის!

— თქვენ როგორ აფასებთ დღევანდელი პროკურატურის მუშაობის პროცესს? თავად ამ სტრუქტურის მიმართ უკვე გაჩნდა სკეპტიკური დამოკიდებულება, ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი...

— მართლაც ბევრი კითხვის ნიშანია... მაგრამ მე მაინც ვხედავ, რომ ეს არის ჩვეულებრივი სამუშაო პროცესი. მიმაჩნია, რომ პროკურატურის დღევანდელი მდგომარეობა საკმაოდ მისაღებია...

— ითქვა, რომ პროკურორები ვერ ართმევენ თავს სამუშაოს, არ არის არგუმენტებით გამყარებული ბრალდებები და ა. შ.

— ესეც შეფასებითია. ადვოკატს თუ ჰკითხავთ, აბა რას იტყვის. თუმცა, ბევრი ბრალდება, რაც პროკურორებს წაუყენეს, ძალიან უსუსურია.

— მაგალითად?

— მაგალითად, ელჩის სტატუსთან დაკავშირებით დავა აბსოლუტურად უსაფუძვლო იყო. დაცვამ ასეთი არგუმენტი გაახმიანა, რომ ზურაბ ჭიაბერაშვილი არის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ამიტომ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უფლება უნდა ჰქონდეს იუსტიციის მინისტრს და არა საოლქო პროკურორსო. უნდა მოგახსენოთ, რომ დღეს მოქმედ კანონმდებლობაში წერია ასეთი რამ, რომ იუსტიციის მინისტრს ექსკლუზიური უფლება აქვს, განახორციელოს სისხლის სამართლებრივი დევნა: პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, თანამდებობის პირების, მათ შორის ელჩის. მაგრამ აქ იგულისხმება დაკავებული თანამდებობა და არა დიპლომატიური რანგი, წოდება. სისხლის სამართლის პროცესი არის ფაქტობორივი მდგომარეობის სამართალი.

თუ განვრცობითი განმარტება იქნებოდა, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ყველა ყოფილი თანამდებობის პირის თუ დიპლომატის დაკავებისთვის საჭირო იქნებოდა იუსტიციის მინისტრის მიღებული გადაწყვეტილება. არა, ეს ასე არ არის! ამდენად დავა იყო უსაფუძვლო.

რაც შეეხება პროკურატურის საერთო შეფასებას, მე ვიცნობ ამ სტრუქტურას, ვიცნობ მის შემადგენლობას, ჩემთვის უცხო ნამდვილად არ არის...

— მით უმეტეს, რომ გენერალური პროკურორი თქვენი თანამემამულეა, ბაღდათელები ბრძანდებით...

— არა მარტო თანამემამულე, არამედ ჩემი ყოფილი სტუდენტია. მიმაჩნია, რომ არის ღირსეული ადამიანი; საინტერესო პროკურორია, იმის მიუხედავად, რომ პროკურატურაში არ უმუშავია და სისხლის სამართლის საქმეებით არ იყო დაკავებული. ის ნიჭიერი კაცია და ესეც არ გაუჭირდება. მიმაჩნია, რომ ისეთი ინტენსიური მუშაობა, როგორიც დღეს მიმდინარეობს, პროკურატურაში არასოდეს ყოფილა. ბუნებრივია, პროკურატურას შეცდომები აქვს (არც შეიძლება სხვანაირად), ზოგჯერ ეს სუბიექტური ხასიათისა არის, ზოგჯერ ობიექტური, მაგრამ საერთო ჯამში პროკურატურა დაკისრებულ ამოცანას თავს ართმევს.

მე შენიშვნები მაქვს საკადრო საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ კადრებს მთავრიდან ვერ ჩამოიყვან. ასე რომ, პროკურატურის კრიტიკა, ჩემი აზრით, ხდება პოლიტიკური კონიუნქტურის გავლენით... ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ პროკურორები პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებენ.

— ყველაფრის მიუხედავად, პროკურატურის რეფორმირების საკითხი აქტუალურია. პარლამენტმა დაიწყო განხილვა და, სავარაუდოდ, სულ მალე კანონში ცვლილებები შევა.

— დიახ. იყო მსჯელობა. უკვე მიღებულია კონცეფცია და ასევე სხვა დოკუმენტები, რომლებიც ამ სტრუქტურის შემდგომ მუშაობას განსაზღვრავენ. საკმაოდ რთული თემაა, რომელმაც უნდა გამოკვეთოს პროკურატურის როლი ჩვენს სახელმწიფოში. ძალიან ბევრი ცვლილება შევა... ჯერჯერობით განსჯის საგანია, თუმცა, საბოლოოდ დამტკიცებული არ არის.

— ძირითადი, რაც ლაიტმოტივად გასდევს ახალი პროკურატურის კონცეფციას, არის სამართლიანი სისხლის სამართლის პოლიტიკა. აქამდეც ასე არ უნდა ყოფილიყო, კანონმდებლობის დონეზე მაინც, თუკი პრაქტიკულად მისი განხორციელება არ ხდებოდა?

— უნდა ყოფილიყო. თუმცა, ჩვენს სხვაგვარ სისხლის სამართლის პოლიტიკას ვეწეოდით...

— პოლიტიზებულს გულისხმობთ?

— არა. 2005 წელს დეკლარირებულ იქნა მკაცრი სისხლის სამართლებრივი პოლიტიკა — „ნულოვანი ტოლერანტობა — ყველანი ციხეში!“ არაადამიანურად გაამკაცრეს სასჯელები, შემოიტანეს ჩვენი მენტალიტეტისთვის მიუღებელი სუროგატები, განსაკუთრებით განაჩენთა შეკრება. სასამართლოს დამოუკიდებლობა იყო აბსოლუტურად დაბალი, რასაც მოჰყვა პატიმართა დიდი რაოდენობა, პრობაციონერთა რიცხვის გაზრდა. წარმოიდგინეთ, რომ საქართველოში 18-დან 60 წლამდე ყოველი მე-4 მამაკაცი ნასამართლევია.

უნდა ითქვას, რომ ციხე გამოსასწორებელ სკოლად არ მიიჩნევა. სისხლის სამართლებრივი რეპრესია, ანუ სასჯელი უნდა იყოს მკაცრი, მაგრამ ადამიანური. ეს ეხება არა მხოლოდ იზოლაციას, არამედ ქონებრივ სასჯელებსაც.

— სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის გამკაცრებას ჰქონდა თავისი დადებითი მხარე, შემცირდა დანაშაული.

— დიახ, შემცირდა დანაშაულის რაოდენობა, ეს უდავოდ მიღწევაა, მაგრამ ციხეები გაივსო პატიმრებით. მკაცრ სისხლის სამართლებრივ პოლიტიკას ეფექტი აქვს, თანაც ძალიან მოკლე დროში, მაგრამ ეს გამოსავალი არ არის. არის ერთი ძველი აპრობირებული პრინციპი — მთავარი არის არა სასჯელი, არამედ პასუხისმგებლობის გარდუვალობა, ანუ თუკი დანაშაული მოხდება, ის უნდა გაიხსნას და დანაშაულის ჩამდენი პირი აუცილებლად დადგინდეს. ეს არის მნიშვნელოვანი. მაგრამ მაინც და მაინც ის პირი ციხეში მოხვდეს, არ არის სავალდებულო.

— თქვენ მაგიდაზე გიდევთ მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისიის კანონპროექტი. ეს არის თქვენ მიერ ინიცირებული „სპეციალიზებული პროკურატურის“ ალტერნატივა? საინტერესოა, რა ბედი ეწია თქვენს გახმიანებულ იდეას — დახმარებოდით პროკურატურას, რათა შედარებით სწრაფად ეპოვნათ დაზარალებულებს სამართალი?

— 2004-2012 წლებში რეგისტრირებულია 10 000-მდე საჩივარი, რომელიც ეხება უკანონო დაპატიმრებებს, ჩამორთმეულ ქონებას თუ სხვა უსამართლობას. ეს ხალხი მოითხოვს რეაბილიტაციას, რაც შეიძლება სწრაფად. არ დაგავიწყდეთ, რომ სამართლიანობის აღდგენა „ქართულ ოცნებას“ პრიორიტეტად ჰქონდა გამოცხადებული. მაგრამ ეს სტიქიურად არ უნდა მოხდეს. ამიტომ გამოიკვეთა ორი გზა: ერთი იყო **„სპეციალიზებული პროკურატურა“.** პროკურორები იქნებოდნენ მხოლოდ რეაბილიტიზებული საქმეებით დაკავებული. ამის შემდეგ სასამართლო სისტემის არსებულ ფარგლებში უნდა ყოფილიყო გადახედვის შესაძლებლობა კანონიერ ძალაში შესული განაჩენისა ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო. ეს პროექტი დღემდე არსებობს იდეის დონეზე.

მეორე ვარიანტი იუსტიციის სამინისტრომ წარმოადგინა. ამის მიხედვით იქმნება სახელმწიფო კომისია, რომელიც იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს, და თუ მივლენ დასკვნამდე, რომ განაჩენში არის კონკრეტული დარღვევები, მიმართავენ სასამართლოს.

საჩივრების დიდი რაოდენობაა და თუ დროზე არ იქნა მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება მთავრობის მხრიდან, პროცესი შეიძლება ძალიან გამწვავდეს. მაგალითად, მიდის ჩამორთმეული ქონების გადაყიდვა, რეგისტრაცია ხდება ოფშორულ ზონებში, საიდანაც ინფორმაციის მიღება რთულია. ბოლოს და ბოლოს ჩნდება „კეთილსინდისიერი“ მყიდველი, რომელსაც ვერაფერს ვერ უზამ და მერე უკვე სახელმწიფოს მოუწევს კომპენსაციის ანაზღაურება, მიყენებული მორალური და ფინანსური ზარალის სანაცვლოდ.

— გაწვდება კი ამას ბიუჯეტი?

— სერიოზული თავსატეხია. ამიტომაც განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, რომ მოსაფიქრებელი საკითხია, მე ამაზე ჩამოყალიბებული არა ვარო. მაგრამ ბიზნესმენები ჩქარობენ იმიტომ, რომ დრო მიდის... მე მაინც ვემხრობი ჩემს იდეას, რომ უმჯობესია, ეს საქმეები პროფესიონალმა კადრებმა გამოიძიონ, ანუ „სპეციალიზებულმა პროკურატურამ“.

— გასაგებია. და კვლავ მივუბრუნდეთ პროკურატურის რეორგანიზაციის თემას. როგორც ცნობილია, გენერალური პროკურორი იქნება დამოუკიდებელი იუსტიციის მინისტრისგან...

— სისხლის სამართლებრივ დევნას მინისტრი არ განახორციელებს. ის იქნება მინისტრი, რომელიც არის პოლიტიკური ფიგურა. დაკავდება იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციაში შემავალი საკითხებით. მართალია, პროკურატურა რჩება მის დაქვემდებარებაში, მაგრამ დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით. რაც შეეხება გენერალურ პროკურორს, ის არ შეიძლება იყოს პოლიტიკური ფიგურა. ის არის საპროცესო ფიგურა, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს. ქალბატონმა თეამ განაცხადა, რომ არ ჩაერევა პროკურატურის საქმეებში, თუმცა, სამინისტროს რამდენიმე ფუნქცია რჩება: საერთო ხელმძღვანელობა, სისხლის სამართლის პოლიტიკის პრინციპების დამტკიცება, საბიუჯეტო ასიგნებები... ასე რომ, კონტროლის ბერკეტები საკმაოდ აქვს. ძალიანაც კარგი! სახელმწიფოს მშენებლობაში მთავარია ურთიერთგაწონასწორების პრინციპი. ერთ სტრუქტურას დიდი ძალაუფლება არასდროს არ უნდა მისცე. ის უნდა იყოს დაბალანსებული მეორე სტრუქტურით. ეს არის ელემენტარული, რაც ცივილიზაციამ უკვე გაიარა. ამაში ახალი არაფერი არ არის.

ესაუბრა
თეა მოსია

◎ ალიან-ჩალიანი

ბაღებში გადასახადები უქმდება - იზრდება აღსაზრდელთა რაოდენობა

რუსთავის ბაგა-ბაღებში მისაღებ ბავშვთა კონტინგენტის რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. როგორც „ინტერ-პრესნიუსთან“ საუბარში რუსთავის ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელმა ია ქელბაქიანმა განაცხადა, ამის მიზეზი სექტემბრიდან ბაგა-ბაღებში გადასახადის შეაძლო გაუქმება გახდა.

ია ქელბაქიანის თქმით, ამჟამად რუსთავის ბაგა-ბაღებში 5300 აღსაზრდელია და დამატებით შემოტანილია 2500 ახალი განცხადება. რუსთავის ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი ვარაუდობს, რომ სექტემბრამდე განცხადების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება, არადა, ახალი კონტინგენტისათვის არსებულ ბაგა-ბაღებში საკმარისი ფართები არ არის.

— ამ პრობლემასთან დაკავშირებით საქმის კურსშია ქალაქის ხელმძღვანელობა, საკრებულო და მერია. საკრებულოში მუშა ჯგუფი შეიქმნა. პრობლემა არის ის, რომ აღნიშნული ფართები ბავშვების ამ კონტინგენტს ვერ დაიტევს, საჭიროა ბაგა-ბაღებისათვის დამატებითი ფართების გამოყოფა, გარემონტება და ჯგუფების დამატება. მიმდინარეობს მუშაობა, შექმნილია საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, რომელმაც შეისწავლა ბაგა-ბაღებში არსებული მდგომარეობა, — განაცხადა ია ქელბაქიანმა.

მისივე თქმით, თუ თანხა დროულად გამოიყო, რომ დამატებითი ფართები გარემონტდეს, სექტემბრამდე სამუშაოების ჩატარება მოესწრება და რუსთავის ბაგა-ბაღები მზად იქნებიან ბავშვთა გაზრდილი რაოდენობის მისაღებად.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

რისი უთქმელობაც არ ეგების!

არა - პედერასტობას, ანუ არა - ნეოლიბერალურ დიქტატურას!



განსხვავებით შარშანდელი 17 მაისისგან, როდესაც ქართველმა პედერასტებმა პირველად გაბედეს საჯაროდ თავიანთი მურდალი უკანალების ქნევა, ამა წლის 17 მაისის იგივე მცდელობას ქართველი „ქათმებისას“, საზოგადოებაში ლამის ტექტონიკური ძვრები მოჰყვა და ამ „სხვაობაში“, უწინარესად, არა კონკრეტულად გეიაქციებს ვგულისხმობ, არამედ წლევანდელი პოსტაქციის პერიოდს — საზოგადოებაში წარმოქმნილი ანტიპედერასტული ცუნამი არა თუ სუსტდება, არამედ, რაც დრო გადის, საზოგადოების აღშფოთება სულ უფრო მატულობს!

რატომ? მოკლედ თუ ვიტყვით, იმიტომ, რომ შინ თუ გარეთ, ქართველ „ქათამთა“ ქომაგმა (ვაა, უნებურად რა ზუსტი აბრევიატურა გამომივიდა სამი „ქან“-ით! ანუ, „ქქქ“, რასაც კურტუმოს ქანაობის მოყვარულთა ლობისტებთან მიმართებით, ქვემოთაც გამოვიყენებ) ლიბერასტებმა, არც მეტი, არც ნაკლები, პირდაპირი იერიში ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაზე და მის საჭეთმპყრობელ კათოლიკოს-პატრიარქზე მიიტანეს!

ერთი სიტყვით, 17 მაისამდე და მის შემდგომ, საქართველო ორი სხვადასხვა ქვეყანაა!

ქქქ-ს პირველი წარმომადგენელი, რომელმაც პედერასტების „დარბევის“ გამო სასულიერო პირების სისხლის სამართლებრივი დასჯა და უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა, უკაცრავად და „მწერალი“ ლაშა ბუღაძე გახლდათ. ეს ის გახრწნილი ლაშა ბუღაძეა, რომელმაც „თანამედროვე ქართულ მწერლობაში“ ყოველი ქართველისთვის სათაყვანებელი წმინდა მეფე თამარის შეურაცხმყოფელი ოპუსით შემოაბიჯა. ხოლო მამამისმა, გია ბუღაძემ „ვარდების რევოლუციის“ წინაშე დამსახურების გამო, ჯერ მრავალათასიანი კონტრაქტი „გაირტყა“ ყოფილი ცენტრალური უნივერმაღის ფასადის მოსათხუპნად და შემდეგ სამხატვრო აკადემიის თბილ სავარძელში მოკალათდა, სადაც მომავალ „შემოქმედებს“ ერთმანეთის ფურთხებით ასწავლიდა „თანამედროვე ქართულ ხელოვნებას“...

ახლა, მამა რა შუაშიაო, მისაყვედურებს მავანი, შუაში კი არა, თავშია და ბანალურ „დედა ნახე, მამა ნახეს“ თავი რომც დავანებოთ, „დათა თუთაშხიას“ ჯინჯოლიასი არ იყოს, მამაზე უკეთესი ვითომ რატომ უნდა გაიზარდოსო შვილი და აკი არც გაზრდილა — შვილმაც მამამისივით ნაცების „ფავორში“ გაატარა 9 წელიწადი და რეალურად საპროტესტო სიტყვა არ დასცდენია იმ „ცოდვის ტირილზე“, რაც მანქურთმა ნაცებმა მოგვიწყვეს ქართველებს!

ბუღაძეს „მეორე ხმა“ მიაშველა დასავლეთიდან ადრე მისი უწმინდესობის პრესმდივანმა და ახლა გახლისტებულმა ბასილ კობახიძემ, რომელიც თურმე ბელგიაში „გადაშენებულა“ — პატრიარქი დაკავებული თანამდებობიდან (!!!) უნდა გადადგეს და პასუხისგებაში მიეცესო!

ამ ტუტუცს პატრიარქობა თანამდებობა ჰგონია, მისი უწმინდესობის საკათალიკოსო ტახტზე მირონცხებული მეუფება კი უბრალო მოკვდავის სამსახურში სიარული...

საქართველოში არ არსებობს არც ერთი ეროვნული ტელევიზია!!!

დიახ, არც ერთი, თუ არ ჩავთვლით საპატრიარქოს „ერთსულოვნებას“ და მედიაკავშირ „ობიექტივს“ და ისინიც მეტ-ნაკლებად — პირველის ნაკლი ის არის, რომ მთელს საქართველოზე ვერ მაუწყებლობს, მეორესიც იგივე, თამაც — რუსთავი 2, საზმაუწყი, იმედი, მაესტრო, მე-9 არხი, კავკასია, პალიტრა TV, ამ აშკარად თუ შეფარვით ლიბერტარიანული ტელევიზიების ქართულ ცნობიერებაზე შემოტევის ფონზე, რომელთაც ერთი პატრონი, სახელად ლეგიონი ჰყავთ, ვფიქრობ ზედმეტი და უადგილოა „ობიექტივის“ მხრიდან დაბალანსებით ყელყელაობა: სხვადასხვა პოზიციის სტუმრები! კი ბატონო, მაგრამ წამყვანი აპრიორი ეროვნულ-პატრიოტული მრწამსისა უნდა იყოს, რომელიც ლიბერასტ სტუმარს, თუ ძაან გაუტევს, დროზე მიუჩენს საკუთარ ადგილს!

სწორედ ლიბერასტული ტელევიზიების დამსახურებაც არის ის, თუ რა და როგორ მოხდა 17 მაისს და რაც ახლა ხდება — პედერასტობის, ერთსქესიანი ქორწინებების საწინააღმდეგო, არც ერთი კონტრპროპაგანდისტული ფილმი (რომელთა მოძიება ინტერნეტსივრცეში უპრობლემოდ შეიძლება) ამ ეთერებში! სამაგიეროდ მათ ე.წ. თოქშოუებს, შეუიარაღებელი თვალითაც შეამჩნევ აშკარა დისბალანსს — სადაც 5-6 და მეტი, ქქქ-ს „ორდენის წევრია“, იქ თითოოროლას თუ გააჭაჭანებენ კაცური პოზიციების დამცველს!..

რა მოხდა ლონდონში და რა ხდება სტოკჰოლმში?!

რა და ის, რაც ნეოლიბერალიზმით ზედმეტმა აცუნდრუკებამ იცის — ნეოლიბერალიზმი, მხოლოდ ლგბტ-ს პროპაგანდა-კულტივირებას არ ნიშნავს. პედერასტიის შემოტევა მხოლოდ პირველი ეტაპია, რასაც ლოგიკურად მოსდევს უკანონო მიგრანტების მოზღვავება.

ჰოდა, ის პირველი ეტაპი ჩვენმა დასავლელმა „მეგობრებმა“ კაი ხნის წინ გაიარეს: ბრიტანეთში ელტონ ჯონის გათხოვება და მის ქორწილში ინგლისის დედოფლის მისვლა ვიღას უკვირს? ახლა სერ ელტონი იმას ჩალიჩობს, რომ ტიტული „სერ“, ანუ რაინდობა, მის ნაშვილებ ბიჭზე მემკვიდრეობით გადავიდეს, რომელიც ალბათ „მშობლებივით“ პედერასტი იქნება. ხოლო ანგლიკანურ ეკლესიაში სერიოზულად განიხილება ემანსიპაციის, ანუ, დედაკაცებისთვის მღვდლად კურთხევის და უფრო მეტიც, ელტონ ჯონის მსგავსი გომიკებისთვის ჯვრისწერის უფლების საკითხები!

იგივეს თქმა სკანდინავიაზე და კონკრეტულად შვედეთზეც შეიძლება, რომ არაფერი ვთქვათ ნორვეგიაზე, რომელიც არა მხოლოდ მსოფლიოში ცხოვრების ყველაზე მაღალი დონითაა ცნობილი, არამედ იმითაც, რომ იქ ერთსქესიან ქორწინებებზე იშვიათი, ჰეტერო-წყვილების ქორწინება იქნება (თუ უკვე არ არის) სულ მალე!

ახლა კი, ამ ქვეყნებს (და არა მარტო) ის პერიოდი უდგათ, როდესაც პედერასტობის თანამდევი რეციდივები აქტიურდება — აბორიგენ ერებს საკუთარ ქვეყნებში აღარ დაედგომებათ, ამას წინად, რომ იტყვიან, დღისით მზისითო, ლონდონის ცენტრში, ვიღაც გადამთიელებმა „ალაჰ აკბარის“ ძახილით ინგლისელი სამხედრო მხოლოდ იმისთვის აკუწეს ნაჯახით, რომ მას ბრიტანეთის არმიის ფორმა ეცვა!

შვედეთშიც თითქმის იგივე ხდება — უკანონო მიგრანტებმა ცეცხლს მისცეს მთელი სტოკჰოლმი და ეს ვანდალიზმი მეორე კვირაა, ვერ აღუკვეთავთ!

აშშ, ჩვენი მთავარი „სტრატეგიული მოკავშირე“, ლიბერასტული განვითარების რომელ ეტაპზეა, თავად ვერ გურკვევიათ. სამაგიეროდ გარკვეულია, რომ აშშ, 11 სექტემბრის შემდეგაც, მიუხედავად ზემძლავრი სპეცსამსახურებისა, არაა დაცული ლონდონის მსგავსი ტერაქტებისგან, რისი დასტურიც ჩიკაგოს მარათონზე მომხდარი ტერაქტიც არის!

ამას პირდაპირ არ ებმის, მაგრამ ისე, ცნობისთვის — ამერიკის ბოი-სკაუტებმა, რაც 1910 წელს დაარსებული ახალგაზრდული მოძრაობაა, რომლის მიზანიც 11-17 წლის ყმაწვილების ჯანსაღი, პატრიოტული აღზრდა იყო, ამას წინათ გააუქმეს 1990 წელს მიღებული „დისკრიმინაციული“ კანონი და მომავალი წლის 1 იანვრიდან, ველარავინ გაბედავს ჰომოსექსუალი ახალგაზრდების სკაუტებიდან გარიცხვას. ანუ, პედერასტობა ბავშვებშიც კი წაახალისეს იმ ახალგაზრდულ ორგანიზაციაში, სადაც დღეის მონაცემებით 2.6 მილიონი ყმაწვილია გაერთიანებული — როგორ ჰგავს ეს ყველაფერი საეკაშვილის პატრიოტთა ბანაკებს და მოწოდებას ბუჩქებში შმაშურისკენ!

თუმცა, რა არის გასაკვირი — ბარაკ ობამას მთავარი სლოგანი მეორე ვადით გაპრეზიდენტებისას, ხომ ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონების დაპირება იყო. რის შემდეგაც მადამ ჰილარი კლინტონმა ამერიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად ლგბტ პედერასტების უფლებების დაცვა გამოაცხადა. ანუ, მსოფლიოს პედერასტებს საკუთარი ხელმწიფე-დედოფალი ჰყავთ მფარველად და ამიტომაც შემოგვიტიეს აგრე გააფთრებით!

საფრანგეთი? მისმა ერთმა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონებისადმი პროტესტის ნიშნად, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში თავი მოიკლა და არც სხვაფრივ არიან დარტანიანის სამშობლოში დალხენილები — საფრანგეთი ლამის წალეკოს უკანონო თუ კანონიერმა მიგრაციამ და ფრანგებს საკუთარ სამშობლოში აღარ დაედგომებათ!

ამიტომაც მიიღო საპრეზიდენტო არჩევნებში ულტრანაციონალმა კანდიდატმა უპრეცედენტოდ მაღალი პროცენტი და იმ ქალბატონს, რომ მხარი სარკოზისთვის დაეჭირა, იქნებ ორლანდი ვერ გაპრეზიდენტებულიყო და საფრანგეთი გაპედერასტებას გადარჩენილიყო!

იგივე ოპერიდან არის ნორვეგიაში მომხდარი ტრაგედიაც, როდესაც ერთმა „შეშლილმა“ 80 კაცი მიახვრიტა! დიახ წინწკლებში ეს სიტყვა, რადგანაც სულაც არ მგონია ბრეივიკი გიჟი. მისი გამართლება შეუძლებელი,მაგრამ ახსნა მისი საქციელის მოტივისა ადვილია — დაინახა ერთ მშვენიერ დღეს, რომ ვაჟკაცი ვიკინგების ქვეყანა პედერასტების და ისლამისტი მიგრანტების ასპარეზად ქცეულა და „გაგიჟდა“...

ამ ყოველივედან ცხადია, რომ ბოლოს და ბოლოს, მთავარი პრობლემა ის კი არ არის, რუსთაველზე ერთი მუჭა პედერასტები აივლიან თუ ჩაივლიან, არამედ ის, რომ პედერასტიას, ერთსქესიან ქორწინებებს, ისეთი ლიბერალური „ფასეულობები“ მოჰყვება „დავესკად“, რაც ნებისმიერ კულტუროსან ერს გადაგვარება-გადაჯიშებას უქადის და საფრთხეს უქმნის მის სახელმწიფოებრიობას!

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ თუ არ ჩამოთვლილ კულტუროსან ქვეყნებს და ერებს, ერთი პრობლემა აქვთ — მათი ქვეყნები ლიბერასტული უმცირესობების „ხოშზე“ იმართება და, აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია მათი ისეთი ძალით აფეთქება, რომ დედა შვილს, მით უმეტეს ერთსქესიანი მშობლები შვილს არ აიყვანენ ხელში — ანტიქრისტეს ბოგინი უსასრულოდ ვერ გაგრძელდება და გამოიღვიძებს ჯეკ ლონდონის, ო' ჰენრის, სტეინბეკის, მარკ ტვენის ვაჟკაცი ამერიკა; დარტანიანის, სტენდალის, ჰიუგოს რომანტიული საფრანგეთი; თომას მანის, შტეფან ცვეიგის, ვაგნერის მკაცრი გერმანია; ბაირონის, შექსპირის, რობინ ჰუდის, რიჩარდ ლომგულის მამაცი ბრიტანეთი და მსოფლიო კაცობრიობაც გადარჩება!

თუ ყველანი გამოიღვიძებენ, ჩვენი, ქართველების პედერასტული იავნანათი მიძინება ვის უნდა?

ქართველებს ორივე ჭირმა — პედერასტობამ და უცხო თესლთა უკანონო მიგრაციამ — ერთად შემოგვიტია!

ჰოდა, რა ვქნათ ახლა, რომელი ერთი მოვიგერიოთ? თუ ორივეს დანებდით უკვე და ჩვენც ამას ხომ არ გვირჩევთ, პრემიერო?

რა აზრის ხართ, ბატონო პრემიერო, საქართველოში ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონების შესახებ? პირდაპირ დასმულ კითხვაზე თქვენს ბოლო პრესკონფერენციაზე, აი როგორ უპასუხეთ პატივცემულო — „საქართველო ჯერ არ არის მზად ამისთვისო“!..

ანუ, რა, მოგვამზადებთ, გვამეცადინებთ და ხვალ-ზეგ მზად ვიქნებით და დაგვიკანონებთ ერთსქესიან ქორწინებებს?

თქვენი პასუხით შოკირებულმა, როდესაც ჩემს საახლობლოში დავიჩივლე — ეს რა გაიგონა ჩემმა ყურებმა-მეთქი, **აბა რა ექნაო, პრემიერია, სხვანაირად, რას იტყოდა ევროპაო?**

მესმის, რომ პრემიერი ჩემსავით უბირი ჟურნალისტის, ლექსიკით ვერ ისაუბრებს, მაგრამ... აი, სწორედ ეს ჯადოსნური სიტყვა „მაგრამ“, რომ გეხმარათ, არც ევროპაში დაწვავდით მწვადს და არც აქ დაგვზაფრავდით ქართველებს. მაგალითად, აი, ასე რომ გეთქვათ — **ჩემთვის, როგორც ერთი რიგითი ქართველისთვის, პედერასტობა მიუღებელია, მაგრამ, როგორც პრემიერი, მათ უფლებებს დავიცავ!**

სხვათა შორის, ეს ჯადოსნური „მაგრამ“, თქვენი კოალიციის ლიდერებმაც, მანანა კობახიძემ და დავით საგანელიძემაც იხმარეს. ერთადერთი ვინც ამ „მაგრამს“ კატეგორიულად გაემიჯნენ, საყვარელი რესპუბლიკელები არიან და რაოდენ სამწუხაროა, რომ თქვენც რესპების ნავში (იქნებ პირიქით?) აღმოჩნდით!

დავით მხეიძე

(დასასრული იძნება)

◎ ალიან-ჩალიანი

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ათასამდე პროექტი დაფინანსდება

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით ათასამდე პროექტი დაფინანსდება, —ამის შესახებ რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ განაცხადა. მინისტრმა გაწეული საქმიანობის შედეგები „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისთვის“ პროგრამის ფარგლებში გამართულ პრესკონფერენციაზე შეაჯამა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა. ნარმანიას ინფორმაციით, საქართველოს მასშტაბით დაფინანსდება 7 ათასამდე პროექტი, რომლის ჯამური ღირებულებაც 49 993 821 ლარია. საქართველოს 3500-მდე სოფელში ჩატარდა სოფლის კრებები, რომელზეც მოსახლეობამ თავად გადაწყვიტა, თუ რა პრობლემის მოგვარება იყო პრიორიტეტული მათი სოფლისთვის. აღნიშნულ პროცესს მონიტორინგს უწევდნენ არასამთავრობო და რეგიონული მედიის წარმომადგენლები. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ძირითადად, დაფინანსდება სასმელი წყლის, შიდა სასოფლო გზების, საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, გარე განათების, სარიტუალო სახლების, სპორტული მოედნების მოწყობა და სხვა პროექტები, — განაცხადა ნარმანიამ.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ პარტახი

ყველა გვატყუებს: პრეზიდენტიც, გუბერნატორიც...

რომ დამირეკა, თავიდან ვერ ვიცანი, გაბზარული ხმა ჰქონდა, ალექსი ვარ, ბიჭო, ალექსანდრე, შენი ნახვა მინდაო.

ალექსი ძირძველი რუსთაველია. პაპით არა, მაგრამ რუსთავის გარიჟრაჟზე მამამისი კი დაფუძნდა ახალგაზრდობის ქალაქში. მერე შვილმა ივაჟკაცა, პატიოსნად, ერთგულად ემსახურა მშობლიურ ქალაქს. ახლა მცირე ბიზნესი აქვს. იგი ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც გულწრფელად უყვარს სამშობლო, თავისი ერი, ამიტომ თქვა, პირველ ოქტომბერს ხელახლა დავიბადეო; გაიხარა კაცმა, შვილებისა და შვილიშვილების მომავალი აღარ მეფიქრება, საქართველო გადარჩაო.

დათქმულ ადგილს შევხვდით, მანქანაში ჩამისვა. ჯერ ადრიანი დღეა, რესტორანში თუ მეპატიჟება, ოღონდ ასე ადრე რა მოეპრიანა-მეთქი. კარგა ხანს უხმოდ მივდიოდით.

— ეს პრეზიდენტი ხომ გვაშაყირებს, ახლა გუბერნატორიც გვაბითურებს, კაცო, გასკდა გული. — დაბოღმილი რომ იყო გვიან შევატყვე, მაგრამ ასეთი?..

— რა იყო, ეს სააკაშვილი ახლა გაიცანი თუ რა ხდება?

— რა ხდება და... პრეზიდენტი წინასაარჩევნოდ რომ ჩამოვიდა, ხომ გახსოვს. ვითომ გაკვირვებულმა ხალხს რომ მიმართა, ეს როგორ გაგილამაზებიათ ქალაქი, თავი პარიზში მგონიაო.

— არ არის თუ? — ჯერ ისევ მთავარ გამზირზე მივდიოდით. წითელ-ყვითელ-ლურჯ ფერებად შეღებილი სახლები მართლაც ლამაზები ჩანან.

— ერთი შიგნით შეეხედა, სახურავები მოეკითხა, რა დღეშია, კანალიზაციის მილები ჩამპალია... ვითომ არ იცი ხალხი რა ყოფაშია, მიშამ კი თვალებში ნაცარი მოგვაყარა, ძალად გამოყვანილი ადამიანები მალევე შემოეცალნენ, მაგრამ...

— ახლა რამ გაგახსენა ეს ამბავი? — მართლა გავიკვირვე.

— რა და, აქამდე ეგ პრეზიდენტყოფილი რომ გვაბითურებდა, ახლა გუბერნატორი რომ გვყავს, ერთთავად მუშტებზე რომ იყურება, ის გვიგდებს მასხრად, დაიბარა ნაციონალების მოსყიდული კოორდინატორები, თათბირი ჩაუტარა, ხომ ხედავთ ჩვენი ქალაქი რა გაღატაკებულია, ხალხს სამუშაო არ აქვს, შიმშილობს, ჰოდა, პრემიერი და მთავრობა სოფელს რომ დაეხმარა, ჩვენც ასევე დაგვეხმაროს, 300-300-ლარიანი ვაუჩერები დაგვირიგოსო. აკი 25 ათასი ხელმოწერა მოაგროვა. ხალხი გააბრიყვეს, ერთმა ჩემმა მეზობელმა ბევრი ვალი მაქვს, სამასი რას მიშველისო და ხუთასი ჩაუწერეს. ასე დაგვცინიან. თვითონ ხომ არიან აფერისტები და ნაძირლები, ახლა ხალხიც უნდათ აიყოლიონ.

— თვითონ, რა ცოტა ფული აქვთ, ამოიღონ ჯიბიდან, ხალხი თუ ასე ეცოდებათ.

— ვანო რომ რუსთაველზე 19 აპრილს გვეპატიჟებოდა, ხომ მოისყიდეს ბრიყვები და დაბდურები? ეს ხელფასიანი კოორდინატორები საარჩევნოდ ცოფიანებივით ენაგადმოგდებულები რომ დარბოდნენ, 19 აპრილისთვისაც მომიტინგეებს კრებდნენ. ცარიელ სიტყვაზე რომ არავინ მოუვიდოდათ, კარგად იცოდნენ, ჰოდა ფულები ჩამოარიგეს.

ამასობაში ლამის ქალაქს გავცილდით, კუზიანი ხიდი გადავიარეთ და ქიმიური ქარხნებისკენ გზატკეცილს დავადექით. საქმეს რესტორნის სუნი არ ასდიოდა და გაკვირვებული მივუბრუნდი.

— რაღაც უნდა გაჩვენო, — ჩაეღიმასავით, — **სიურპრიზია.**

ცოტა რომ გავიარეთ, მარცხნივ შეუხვია, აქ კი ქიმიური ბოჭკოს ქარხანაა, ანუ „550“, როგორც მას ეძახდნენ. იქ ერთ დროს 5 ათასზე მეტი ადამიანი მუშაობდა, ძირითადად ქალები, მეტალურგების, სხვა სამრეწველო საწარმოების მომსახურე მამაკაცების ოჯახის წევრი ქალები შინ უსაქმოდ რომ არ მსხდარიყვნენ, მათთვის საგანგებოდ თუ სპეციალურად დაიგეგმა ამ ქარხნის მშენებლობა. ასე იცოდნენ კომუნისტებმა.

ამასობაში შევგრიალდით ქარხნის ჭიშკარში, სადაც ადრე ჩიტი ვერ შეფრინდებოდა დაცვის შიშით. შევგრიალდით და ჩემს მტერს, რაც ჩემმა თვალებმა

იხილა: ეგრევე ნანგრევებში ამოვყავით თავი, არადა ეს ქარხანა თავისი მწვანე ნარგავებით, საუკეთესოდ მოვლილი ბაღნარითაც იყო ცნობილი.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ერთ ციფრს მოვიშველიებ. ქარხნის ძირითად საამქროთა მაღლივი კორპუსები 40 ათას კვადრატულ მეტრს მოიცავდა, იყო აგრეთვე დამხმარე კორპუსები, საამქროები, სხვადასხვა ნაგებობები, სადაც 18-მდე დასახელების სახალხო მოხმარების საგნებს უშვებდნენ, იმას, რაც ახლა თურქეთიდან თუ სხვა ქვეყნებიდან მოაქვთ და გამოტენილია ჩვენი ბაზრები და მაღაზიები და რაც ასე უხარისხოა. ამასაც დამატებით ამზადებდნენ, ხოლო ძირითადი პროდუქცია იყო კორდისა და აბრეშუმის ძაფი, ქსოვილი საბურავების ქარხნებისთვის, კარლაქტამი... ერთი სიტყვით, წელიწადში 200 მილიონი მანეთის პროდუქცია მზადდებოდა, მაშინდელი 200 მილიონი მანეთი 200 მილიონ დოლარს დიდად აღემატებოდა. დღეს ეს საწარმო რომ ფუნქციონირებდეს, მარტო ის გამოკვებავდა რუსთავს და ქვეყნის ეკონომიკასაც მაგრად წაადგებოდა.

რაც იქ ვნახე, მტერსაც აატირებდა. ვინ ჯალალედინი, ვინ თემურ ლენგი ან შაჰ აბასი. **მხოლოდ რუსთავის მაოხარმა ბერქა ყაენმა მოახერხა ამ ქალაქის მოკვდინება** საუკუნის წინათ და მხოლოდ სტალინმა შეძლო მისი ხელახლა აღორძინება. **ნაციონალებმა ბერქა ყაენს ლამის ტოლი დაუდეს.**

ეს ოთხი ათასი კვადრატული მეტრის ერთ ჭერქვეშ მოქცეული გიგანტური კორპუსები ნაცარტუტად უქცევიათ ჯართისა თუ რკინის არმატურის მაძიებლებს.

და ეს მოხდა მიშა სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, რასაც მომავალი მეისტორიე, ალბათ, დაწვრილებით აღწერს და ბერქა ყაენ-მაოხრის გვერდით მიუჩენს ადგილს.

და განა მარტო ეს! რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს 8 ღუმელი, მთელი დამხმარე ნაგებობები, პირველი საბრძმედე ღუმელი, ეგრეთ წოდებული საგლინავი საამქროები „დგან 900“, „დგან 1000“, უნიკალური მილსადოდო საამქრო თავისი მაღლივი კორპუსებით, ჟანგბადის წარმოება, რომელიც დღეს არა მარტო ქარხანას, ქალაქსაც დიდად წაადგებოდა. ერთი სიტყვით, რუსთავის, საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრის, 44 სამრეწველო საწარმოდან (მათგან 17 საკავშირო მნიშვნელობისა იყო, რაც მის მასშტაბურობას მიანიშნებდა) მხოლოდ ორი თუ სამი შემორჩა.

ათი წლის წინათ რუსთავში 160 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა, დღეს მოსახლეობა 100 ათასს არ აღემატება, თუმცა ნაციონალების საარჩევნო სიაში ისევ 110 ათასი ამომრჩეველია, როგორც კომუნისტების დროს.

სამწუხარო ისაა, რომ რუსთავს ისევ ნაციონალები მართავენ. არადა, შარშან, როდესაც ბატონი ბიძინა ივანიშვილი ჩამოვიდა, მიტინგზე ათასობით ადამიანი გამოვიდა, მოულოდნელად წვიმა-მერეხი წამოვიდა, ადამიანები მოკლე სახელოებით იყვნენ, ხუმრობდნენ კიდევაც, ეს მიშამ ჩაგვიწუილაო, ბოლომდე იდგნენ, მიუხედავად ბატონი ბიძინას არაერთგზის თხოვნისა — დაიშალენითო.

უფრო უარესიც, ნაციონალებმა ისიც მოახერხეს, „ქართული ოცნების“ პარტიულ ორგანიზაციაში განხეთქილება შეეტანათ, საქალაქო კონფერენცია ორჯერ ჩაშალეს. პარტიის რიგებში შეგზავნეს გამოცდილი ავანტიურისტები.

ასე რომ, ჩემი მეგობარი ალექსი არ ტყუის, ყოფილი პრეზიდენტი და მისი გუბერნატორი მართლაც გვაბრიყვებენ.

გივი ჯახუა

P. S. იმ დროს, როდესაც შეჭირვებულ, სულით ხორცამდე გალატაკებულ რუსთაველთათვის მათხოვრულ ხელმოწერებს აგროვებს გუბერნატორი, და ბატონ ბიძინას მუხლმოყრილი ემუდარება მოწყალებას, არადა როგორც ამბობენ, როგორც სხვა ნაციონალი ლიდერები, საკუთარი ტყავის გადასარჩენად იბრძვის, ქალაქის საკრებულო და მერია რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში „სტალინური რეპრესიების“ დეგიზის გამოფენით არიან დაკავებული. როგორც გაზეთი „რუსთავი“ იუწყება, გრანდიოზული ღონისძიება ჩაუტარებიათ.

არადა ამ მუზეუმის ხელმძღვანელებმა თუ მუშაკებმა, რუსთაველებმა კარგად უწყიან, რომ არა სტალინის ნება, მისი სურვილი, დღეს რუსთავი ისევ მხოლოდ ისტორიის ხსოვნაში იქნებოდა შემორჩენილი, საქართველოს საზღვარი კი იქნებ სოღანლუღთან ანუ ფონიჭალასთან ყოფილიყო...

გ.ჯ.

◎ ამგზოგენ, მართალია?

გვიპასუხებს ინფრასტრუქტურის სამინისტრო

ქველმოქმედება არც სამარცხვინოა და არც - დანაშაული!

მოგესალმებით, თქვენი გაზეთის 30 მაისის ნომერში გამოქვეყნდა ინფორმაცია სათაურით „მინისტრი ხევსურეთში მიდის, შეაგროვეთ ფული, ვისაც რამდენი შეგიძლიათ“. გიგზავნით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის პასუხს აღნიშნულ მასალაზე. გთხოვთ, უახლოეს ნომერში გამოაქვეყნოთ.

პატივისცემით,
მაგდა პოპიაშვილი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 30 მაისის ნომერში გამოქვეყნდა ინფორმაცია სათაურით „მინისტრი ხევსურეთში მიდის, შეაგროვეთ ფული, ვისაც რამდენი შეგიძლიათ“. ინფორმაციის ავტორი ჩივის, რომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში „სამარცხვინო ტრადიცია“ მკვიდრდება და ეს „სამარცხვინო ტრადიცია“, თურმე, ქველმოქმედება ყოფილა. ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ ავტორი, ფსევდონიმის მიუხედავად, როგორც ირკვევა, ჩვენივე სამინისტროს თანამშრომელია.

დიახ, სამინისტრომ მართლაც გადაწყვიტა, დაეხმაროს სოციალურად დაუცველ, მრავალშვილიან ოჯახს, რომელიც ხევსურეთში ცხოვრობს. ეს ერთადერთი ოჯახია, რომელიც ამ მხარეში, ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში, გაჭირვების მიუხედავად, მარტო დარჩა საცხოვრებლად მაშინ, როცა მის გარშემო მთელი ხეობა — ექვსი სოფელი დაცლილია. ვფიქრობთ, ამ ოჯახის გადაწყვეტილება გმირობის ტოლფასია და, როცა მათ და ასეთ ადამიანებს დახმარება სჭირდებათ, თითოეული ჩვენგანის ვალია, გვერდში დავუდგეთ.

როგორც ჩანს, ინფორმაციის ავტორისთვის ის უფრო მისაღებია, რომ საბიუჯეტო თანხა, რომელიც კონკრეტული საქმიანობის განსახორციელებლად არის გაწერილი, არამიზნობრივად დაიხარჯოს, ვიდრე ის, რომ თუნდაც ხუთი ლარი გაიღოს სოციალურად დაუცველი თანამოქალაქეების დასახმარებლად მაშინაც კი, როცა მას ამის საშუალებას ხელფასი აძლევს.

ინფორმაციის ავტორი ცრუობს, როცა წერს, რომ „მინისტრის დავალება იყო, თანამშრომლებს მოეგროვებინათ თანხა, რათა შემდეგ მას სოფლის მოსახლეობისთვის დაერიგებინა“. თითოეულ თანამშრომელს ეთხოვა, ჩართულიყვნენ საქველმოქმედო აქციაში და შესაძლებლობის ფარგლებში — იქნებოდა ეს ფულადი შემოწირულობა, წიგნები, სათამაშოები თუ ტანსაცმელი — დავხმარებოდით სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახს. სამწუხაროა, რომ ჩვენმა ერთ-ერთმა თანამშრომელმა ან არასწორად აღიქვა თხოვნა, ან არასწორი კომუნიკაციის პრობლემა შეექმნა.

იმედია, დაგვეთანხმებით, რომ ქველმოქმედება არც სამარცხვინოა და არც — დანაშაული. ქველმოქმედების გაპროტესტება კი მართლაც სამარცხვინოდ მიგვაჩნია.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

◎ ალიან-ჩალიანი

გაფიცულმა ექიმებმა დირექტორს კარი აუჭედეს

მე-13 პოლიკლინიკის გაფიცულმა ექიმებმა დირექტორს ექვთიმე კუგატს კაბინეტის კარი აუჭედეს. როგორც „ინტერპრესნიუსს„ გაფიცულმა ექიმებმა განუცხადეს, თუ სამსახურში გათავისუფლებულ 9 ექიმს არ დააბრუნებენ და ექვთიმე კუგატი თანამდებობას არ დატოვებს, შიმშილობის აქციას დაიწყებენ. გაფიცულ ექიმებთან და პოლიკლინიკის დირექტორთან ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე კახა საკანდელიძეც იმყოფებოდა. განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით პოლიკლინიკის დირექტორი ექვთიმე კუგატი კომენტარს არ აკეთებს.

ექიმები კი აცხადებენ, რომ დირექტორი „ნაციონალია“ და 9 ექიმი, რომლებიც პროფკავშირების წევრებია, დირექტორისგან განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრებების გამო სამსახურიდან დაითხოვეს.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ყოფა

დევნილთა განსახლება და გამოსახლება

საქართველოს მთავრობა 2013 წლის ბოლომდე 1500-2000-მდე დევნილ ოჯახს საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფს, თუმცა, პარალელურად თვითნებურად დაკავებული ობიექტებიდან დევნილების გამოსახლებას გეგმავს. უახლოეს მომავალში დევნილთა შემწეობის ზრდაც იგეგმება.

ლტოლვილთა განსახლებისა და დევნილთა მინისტრმა დავით დარახველიძის ინფორმაციით, პირველი წელი შედარებით რთული იქნება, თუმცა, უკვე 2014 წელს ბინას უკვე 9 ათასამდე დევნილი მიიღებს.

დასახული გეგმის მიხედვით, საქართველოს მთავრობა 4 წლის განმავლობაში 40 000-მდე დევნილი ოჯახის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას გეგმავს. პირველ ეტაპზე საცხოვრებელ სახლს ის დევნილები მიიღებენ, რომელთა ზოგადი მდგომარეობა და საყოფაცხოვრებო პირობები მძიმეა.

როგორც დარახველიძე აცხადებს, ამ დროისთვის ახალ მშენებლობასთან დაკავშირებით პროექტის შემუშავება მიმდინარეობს და მისი დასრულებისთანავე სამშენებლო კომპანიებისთვის ტენდერი გამოცხადდება, რომლის გამარჯვებულიც ტენდერის გამოცხადებიდან ერთ თვეში გამოვლინდება.

ამ პროცესის პარალელურად, მთავრობა თვითნებურად დაკავებული ობიექტებიდან დევნილების გამოსახლებას გეგმავს. ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, ბოლო პერიოდში მასობრივი ხასიათი მიიღო სახელმწიფო შენობებში ადამიანთა ჯგუფების უკანონოდ შეჭრის ფაქტებმა. 2012 წლის სექტემბრის მეორე ნახევრიდან დღემდე მათ უკვე ათეულობით ობიექტი დაიკავეს.

„ისინი ასევე უკანონოდ მოითხოვენ ამ ობიექტებში ელექტროენერგიისა და წყლის შეყვანას, თუმცა, კანონის დამრღვევთა მოთხოვნები სახელმწიფოს ინტერესების ხარჯზე ვერ დაკმაყოფილდება. ლტოლვილთა განსახლებისა და დევნილთა სამინისტრომ თხოვნით მიმართა ეკონომიკის სამინისტროს, თბილისში, ღოლოერიძის ქ.№3-ში მდებარე სახელმწიფო ქონების მისთვის გადაცემის თაობაზე, რათა იქ მოხდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი ოჯახებისათვის საკუთრების უფლებით ფართების გადაცემა, თუმცა, აღნიშნულ ქონებაში ამჟამად უკანონოდ შეჭრილი პირები იმყოფებიან. სწორედ დევნილებისთვის ბინების გადაცემის მიზნით იგეგმება თვითნებურად დაკავებული ობიექტების გამოთავისუფლება“, — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

სამინისტროს ინფორმაციით, ასევე გარკვეულ პირთა ჯგუფი უკანონოდაა შეჭრილი მთაწმინდაზე, იაშვილის ქუჩაზე მდებარე სახელმწიფო ობიექტშიც.

„ხელისუფლება მათ მიმართაც გამოიყენებს კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას. აქვე გვსურს, მივმართოთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, რათა ჩაერთონ ამ პროცესში და მათთვის კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში დაეხმარონ ამ ადამიანებს მათი სოციალური პირობების გაუმჯობესებაში.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სახელმწიფო ობიექტებში უკანონოდ შეჭრილ ყველა პირს მოუწოდებს, საკუთარი ნებით დატოვონ თვითნებურად მითვისებული ფართები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლება ამ პრობლემის მოწესრიგების მიზნით კანონით გათვალისწინებულ ყველა საშუალებას გამოიყენებს“, — ნათქვამია განცხადებაში.

გარდა ამისა, დევნილთა საცხოვრებელი პირობების მოწესრიგების მიზნით, სამინისტრომ უკვე მოამზადა ცვლილება, რომელიც დევნილთა შემწეობის ზრდას გულისხმობს, თუმცა ამ ეტაპზე მინისტრი, ზრდის რაოდენობის კონკრეტულ მაჩვენებელს ვერ ასახელებს. არასამთავრობო ორგანიზაციები კი დევნილთა 28-ლარიანი შემწეობის საარსებო მინიმუმთან გათანაბრებას მოითხოვენ.

ეკა ბაძრაძე

◎ წკეპლიკა

„ჩემო ბიძინა“, „ჩემო ბიძინა“ - ამასობაში კვლავ ჩაიძირა...

უმალვე განვმარტავ: ვინ ჩაიძირა და — ტელეარხ „კავკასიის“ მთავარი ფიგურა, გადაცემა „სპექტრის“ პოპულარული წამყვანი დავით (ბევრისთვის დათო) აქუბარდია: სად ჩაიძირა და — უზრდელობაში, უტაქტობაში; თუ მე მართალი ვარ, მაშინ, როგორც ჩანს, პოპულარობა და უტაქტობა არცთუ შეუთავსებელი ცნებები ყოფილა; „კვლავ“-ს რაც შეეხება, ეგ იმიტომ, რომ მესამედ ვაკრიტიკებ „სრ“-ის ფურცლებიდან აქუს, ტელემაყურებელთაგან უსვად ნაქებსა და ზოგი კუთხით მართლაც „საქუს“; იმ წინა ორ წერილში კი უკვე წამოვძახე რამდენიმე ჩაძირვა და „მაშველი რგოლიც“ შევთავაზე რჩევების სახით. გაგიგონია? წაგიკითხავს?..

ამ ჯერზე 30 მაისის (ხუთშაბათის) გადაცემაზე უნდა ვილაპარაკო, რომელზეც მიწვეული ჰყავდა არც მეტი, არც ნაკლები — თვით პრემიერი ბიძინა ივანიშვილი, მრავალთათვის ფრიად პატივსაცემი და მრავალთაგანვე პატივცემული პიროვნება. მრავალში, რასაკვირველია, დავით აქუბარდიაც შედის, ოღონდ იმ დღეს, იმ გადაცემაში ვერაფერი შვილი პატივისცემა გამოუვიდა, რამდენადაც წამდაუწუმ მიმართავდა, ისევ, „არც მეტად და არც ნაკლებად“ — „ჩემი ბიძინა“, „ბიძინა ჩემო“... თანაც ამას თითქოს თავმოწონებითაც აკეთებდა, როგორც რუსები იტყვიან, смакуя ტკბობით, „პირის ჩატკბარუნებით“; აქაოდა, შემომხედეთ, „შემომისმინეთ“, რა მაგარი ვარ, მთავრობის მეთაურს როგორ по-панибратски (ისევ რუსული ენის შეწუხებით) ვესაუბრებიო — ძმაბიჭურად, მოურიდებლად... თვალებზე რა უნდა ვთქვა, მაგრამ ყურებს არ ვუჯერებდი — ამ აქუმ ნეტავ როდის მოასწრო პრემიერ-მინისტრთან დაძმაკაცება-მეთქი... და გინდაც მოესწრო — შეიძლება განა საჯაროდ, საეთეროდ, საეკრანოდ ასეთ პიროვნებას ასე მიმართო, ასე „მხარზე ხელი უთათუნო“? მართლა „თავისიც“ რომ ჰყავდეს სტუმრად — გინდა სოსო ცინცაძე, გინდა კახი კახიშვილი, გინდა პეტრე მამრაძე ან სხვა — ჩემო-ჩემოო არავის არ უნდა ასვევდეს თავს, არავის არ უნდა „ეჩემებოდეს“ — ასე ვფიქრობ მე... რომელიმე ქართული ტელეკომპანიის ჟურნალისტებისგან ამდენი „ჩემო-ჩემო“ გსმენიათ ვინმეს?..

ღმერთმანი, ჩემთვის ადვილი არ იყო უზრდელობა-უტაქტობის „სიგელის“ ბოძება ბატონი დავითისთვის და არც მივცემდი ამის ნებას თავს, რომ იმ გადაცემის მეორე დღეს, პარასკევს, რამდენიმე ადგილას არ მომესმინა, დარბაისელ პირთაგან, აღშფოთება-დამუნათება აქუს მისამართით, „წუხანდელი“ „ჩემო ბიძინა“-„ბიძინა ჩემოს“ გამო.

... მორჩა, გავასამე დავით (დათო) აქუბარდიაზე წერილების რიცხვი და აწი ასემც უქნია, მთელი მისი „მრევლი“, მთელი „რესპონდენტეთი“ გაუთავისებია, გაუჩემებია და მეტიც, „გაუშეჩემებია“... კრინტსაც აღარ დავძრავ, მკლავსაც აღარ გავიმამაცურ-გავიკალამურებ...

თამაზ ეგანოიძე

◎ ალიან-ჩალიანი

დაბეჭდილია მილიონნახევარი სასკოლო სახელმძღვანელო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი უფასო სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვის პროცესს გაეცნო.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, საჯარო სკოლების მოსწავლეები სასკოლო სახელმძღვანელოებს უფასოდ მიიღებენ. მილიონ ნახევარი სასკოლო სახელმძღვანელო უკვე დაბეჭდილია.

მინისტრ გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, ახალი ინიციატივა სკოლის მოსწავლეების მშობლებს სახელმძღვანელოების შეძენის პრობლემას მოუხსნის, ხელს შეწყობს ქართული პოლიგრაფიული და სხვა ქართული ბიზნესების, კერძოდ პოლიგრაფიული მასალების იმპორტიორი კომპანიების, სატრანსპორტო კომპანიების და სასაწყობო მეურნეობების აღორძინებას, რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ყველა გადასახადი დარჩება საქართველოს ბიუჯეტში.

განათლების სამინისტროს ცნობით, სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვაზე ცხრა ქართული სტამბა მუშაობს. საწარმოებში 1600 მოქალაქეა დასაქმებული.

სტამბის დათვალიერების შემდეგ, გიორგი მარგველაშვილი ლილოში მდებარე იმ სასაწყობო მეურნეობას ეწვია, სადაც დაბეჭდილი სახელმძღვანელოები ინახება.

„ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას შპს „დმგ ვესტლაინის“ ხელმძღვანელმა მამუკა ფრიდონაშვილმა განაცხადა, რომ სხვადასხვა სტამბიდან შემოსული სასწავლო სახელმძღვანელოების დასაწყობება ხდება აღნიშნულ ტერიტორიაზე, შემდეგ კი მოხდება გადახარისხება და რეგიონების მიხედვით რესურსცენტრებში გადანაწილება. რესურსცენტრები, საჭირო რაოდეობის სასწავლო სახელმძღვანელოებს სკოლებს მიაწვდიან.

სასწავლო სახელმძღვანელოები სკოლებს 15 ივნისიდან გადაუნაწილდებათ.

დიღმის მასივში სწრაფი ჩარიცხვის აპარატის ინკასატორი დააყაჩაღეს

დიღმის მასივში სწრაფი ჩარიცხვის აპარატის ინკასატორი დააყაჩაღეს. ორი შეიარაღებული ნიღბიანი ინკასატორს თავს დაესხა. ინკასატორი ადგილზე ავტომობილით იყო მისული , რომელშიც, სავარაუდოდ, დიდი ოდენობით თანხა იყო მოთავსებული. თავდამსხმელებმა გარკვეული თანხის გატაცება მოახერხეს.

დაზარალებულის განცხადებით, შემთხვევა მაშინ მოხდა, როდესაც სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან თანხა ამოიღო და ავტომობილში ჩადებას აპირებდა.

დაზარალებულის თქმით, მას შეიარაღებულმა ნიღბიანმა პირებმა ავტომობილის გასაღებიც მოსთხოვეს, რასაც სიტყვიერი შელაპარაკება მოჰყვა. როგორც ინკასატორი ყვება, თავდამსხმელებმა მხოლოდ ის თანხა წაიღეს, რომელიც მან აპარატიდან ამოიღო.

ჯერჯერობით დაუდგენელია, რა რაოდენობის თანხაა გატაცებული. ადგილზე კრიმინალური პოლიცია მივიდა, რომელმაც მუშაობა უკვე დაასრულა.

მომხდარზე გამოძიება მიმდინარეობს.

თურქეთში ქართველი სტუდენტი დაშავდა

თურქეთში მიმდინარე საპროტესტო აქციების დროს 19 წლის ქართველი სტუდენტი ბიჭი დაშავდა. ამის შესახებ ანკარაში საქართველოს კონსულმა თორნიკე ბერეკაშვილმა განუცხადა.

მისივე თქმით, მან დაშავებული სტუდენტი უკვე მოინახულა. კონსულის განცხადებით, ქართველი სტუდენტის მდგომარეობა სტაბილურია, თუმცა რეანიმაციაში იმყოფება.

„როგორც თავად მითხრა, აქციის მონაწილე არ ყოფილა და ინციდენტში შემთხვევით მოხვდა“, — განაცხადა ბერეკაშვილმა. მისივე თქმით, ახალგაზრდას ჭრილობები ბლაგვი საგნით აქვს მიყენებული.

თურქეთში საპროტესტო აქციები რამდენიმე დღეა, მიმდინარეობს. სტამბოლში, ბეშიქთაშის რაიონში დემონსტრანტებსა და პოლიციელებს შორის წუხანდელი შეტაკება ყველაზე სისხლიანი გამოდგა მას შემდეგ, რაც გასულ კვირას ქვეყანა მასობრივმა საპროტესტო აქციებმა მოიცვა. შეტაკების შედეგად დაშავებულებს პირდაპირ ბეშიქთაშის რაიონში მდებარე მეჩეთებში, მაღაზიებსა და უნივერსიტეტში ათავსებდნენ. თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯეფ ტაიპ ერდოღანის ოფისთან შეკრებილმა მომიტინგეებმა ქვები დაუშინეს სამართალდამცავების მიერ აგებულ ბარიკადებს, პოლიცია კი, მათ დაშლას ცრემლსადენი გაზისა და წყლის ჭავლით შეეცადა.

თურქეთის მედიკოსთა ასოციაციის ინფორმაციით, პარასკევიდან მოყოლებული ადგილობრივ საავადმყოფოებში 484 დაშავებული დემონსტრანტია მოთავსებული. ვრცელდება ინფორმაცია ორი დაღუპულის შესახებაც.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

წლები, რომლებიც მუდამ შენთან არის

არ გამოუვიდა... „მე ლაზღანდარობისთვის დროს ვერ დავკარგავო“, – უთხრა ამაღლობელმა, და სახტად დარჩენილი მარტო დატოვა სტუდიაში. ამაღლობელმა იმავე დღესვე, თავისივე ბრძანებით მოიხსნა უფლება-მოვალეობა და დატოვა რექტორის თანამდებობა... „ყოჩაღ“, ასე შეაფასა საზოგადოებამ მისი გადაწყვეტილება.

სტუდიაში მეორე სტუმრად ქორიძემ მე შემარჩია. მართალია, არც მე მაკლდა სამეცნიერო წოდებები და ხარისხები, მაგრამ, ამასთან ერთად, მე გავლილი მქონდა „ქუჩური გარჩევების“ სკოლაც, და იოლად დამყოლი კაცი არ ვიყავი...

– ბატონო ნაპოლეონ, იმედია, ამაღლობელის მსგავსად თქვენც სტუდიიდან არ გამექცევით, – განახორციელა პირველი „შეტევა“ ქორიძემ.

– ბატონო თემურ, აკადემიკოსი ამაღლებული სტუდიიდან კი არ „გაქცეულა“, არამედ, როგორც გონიერი ადამიანი, გაგეცალათ და სწორადაც მოიქცა... რაც შემეხება მე: პირობას გაძლევთ, რომ სტუდიიდან ერთად გავალთ.

– მაშ, დავიწყოთ, – თქვა და საქმიანად შეათვალიერა წინ დაწყობილი ფურცლები – ჩვენ მთელი ცხოვრება კომუნისტურ იმპერიას ვებრძოდით და დავამარცხეთ იგი. საქართველო რომ დამოუკიდებელი ქვეყანაა, ეს ჩვენი დამსახურებაა. დამეთანხმებით, ალბათ, რომ ახალი ქვეყანა სუფთა წარსულის მქონე ადამიანებმა უნდა ააშენონ!.. თქვა და გამომცდელად შემომხედა.

– რას ამბობთ, ეს რამხელა საქმე გაგიკეთებიათ?! – ხუმრობის ხასიათზე „დავდექი“ მე, – იქნებ საზოგადოებას ისიც უთხრათ, პირადად თქვენ, რა წვლილი შეიტანეთ იმპერიის დამხობაში? და გთხოვთ, გამარკვიოთ, რას ნიშნავს „სუფთა ხელები“? ვინ განსაზღვრავს იმას, ვის აქვს იგი სუფთა და ვის დაბინძურებული?!

ქორიძე ასეთ პასუხს არ მოელოდა, იგი ცოტათი დაიბნა: – ბატონო ნაპოლეონ, აქ კითხვებს მე ვსვამ, – დამტუქსავი ტონით თქვა მან.

– თქვენ რა! დაკითხვა გინდათ მომიწყოთ? მაშინ ჯობდა პროკურატურაში შევხვედროდით... თუ არ მეშლება, გადაცემას ჰქვია „უმაღლესი სკოლა“, მე კი უნივერსიტეტის რექტორი ვარ და ცალმხრივი დიალოგი არ გამოგვივა.

– თქვენ ნუ ცდილობთ სხვა მიმართულებით წაიყვანოთ საუბარი, ჩვენ უმაღლეს სკოლებს ვანთავისუფლებთ კომუნისტური ტვირთისაგან, დღეს იდეოლოგია ფუნდამენტურად იცვლება... თქვენ დისკომფორტს არ გიქმნით თქვენი კომუნისტური წარსული?..

– ოო... როგორც ჩანს, უმაღლეს სკოლებს ნაკლებად იცნობთ. მთელ მსოფლიოში უნივერსიტეტებს გამოჩენილი მეცნიერები ხელმძღვანელობენ. ასე იყო და ასე არის საქართველოშიც. თქვენი ლოგიკით კეცხოველის, ვეკუას, ხარაძის, კუპრაძის და სხვა ცნობილი მეცნიერების მიერ ხელმოწერილი დიპლომები, ადამიანებმა უნდა გადაყარონ, იმიტომ რომ ისინი კომუნისტები იყვნენ? ან თქვენი პირველი რესპონდენტი, რომელმაც სტუდიაში მარტო დაგტოვათ, ხელწამოსაკრავი კაცია? იქნებ გაცნობოდით მის სამეცნიერო ბიოგრაფიას, ან თუნდაც ჩემს ბიოგრაფიას? მე კომუნისტიც ვიყავი და მანამდე აქტიური კომკავშირელიც, მაგრამ ამას ჩემთვის ხელი არ შეუშლია, რომ ვყოფილიყავი აფხაზეთში ქართული მოძრაობის ლიდერი, იქნებ ვინმესთვის გეკითხათ: „რას ვაკეთებდი აფხაზეთში“?! ნუთუ არ იცით, რომ მეცნიერის მიერ შექმნილი „პროდუქცია“ პარტიულ კუთვნილებას არ ექვემდებარება?

ჩემი აქტიურობა, აშკარად არ მოეწონა.

– ჩვენ ძირითადი საკითხებიდან გადავუხვიეთ. ჩვენი პოზიცია ახირება არაა, საზოგადოება მოითხოვს ცვლილებებს. ისინი ხედავენ, რომ თქვენ და თქვენმა „კოლეგებმა“ საქართველო დანგრევის პირას მიიყვანეთ. ეროვნული ძალებისგან ადამიანები ქვეყნის აშენებას ითხოვენ, თუ ისევ კომუნისტები იქნებით ხელისუფლებაში... მაშინ ისმება კითხვა: რატომ მოვახდინეთ რევოლუცია? უნივერსიტეტებში არის სხვა თანამდებობებიც, კათედრები, ლაბორატორიები... რატომ არ შეიძლება იქ დასაქმდეთ?!

– თქვენ უკვე გააძევეთ კომუნისტები ხელისუფლებიდან, რომელთა შორის ძალიან ბევრი იყო ღირსეული მამულიშვილი, ახლა იგივე გინდათ გააკეთოთ უნივერსიტეტებში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში და ა.შ. მინდა, გკითხოთ: აგრარული უნივერსიტეტის კოლექტივი არის თუ არა ქართული საზოგადოების ნაწილი? ალბათ, არის! ამ კოლექტივის წევრებმა მე რექტორად, ფარული კენჭისყრით 9 ღირსეულ კანდიდატს შორის ამირჩიეს. როგორც ვხედავ, თქვენ პატივს არ სცემთ მრავალათასიანი კოლექტივის აზრს და უხეშად იჭრებით საუნივერსიტეტო ავტონომიაში... თუ გნებავთ, გავაკეთოთ ექსპერიმენტი! მე ისევ დავაყენებ ჩემს კანდიდატურას ფარულ კენჭისყრაზე და გთავაზობთ, რომ არჩევნების ჩატარებას უხელმძღვანელოთ თქვენ... თანახმა ხართ?..

– როგორც ჩანს, ჩვენ ვერ ვუგებთ ერთმანეთს...

იგი აშკარად ცდილობდა საუბრის დამთავრებას.

მკითხველს აღარ გადავღლი, ჩვენი დიალოგის სხვა მომენტებით. თუმცა, ვითარება ძალიან კომიკური იყო. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ქორიძის აგრესიულობა, აშკარად დათრგუნული ჩანდა. ბოლოს იგი წამოდგა, ხელი ჩამომართვა და ჩვენ „ერთად გამოვედით“ სტუდიიდან. ეს იყო „უმაღლესი სკოლის“ ბოლო გადაცემა სტუდიაში, იგი აღარ გაგრძელებულა.

მოგვიანებით, მოსკოვში ისევ შევხვდით ერთმანეთს, იგი დევნილობაში იყო. „მაშინ მაჯობეო“, – მითხრა. შემდეგ თბილისშიც გვქონდა შეხვედრა ერთ-ერთი გაზეთის რედაქციაში, მან „ძველი ნაცნობივით“ გადამკოცნა... სხვათა შორის, თანამდებობის გარეშე იგი უფრო საინტერესო ადამიანი ყოფილა...

მოულოდნელი ვიზიტი კრემლში...

ვცდილობდი პოლიტიკისაგან დისტანცირებას, და ამიტომ მხოლოდ სამსახურებრივი საქმეებით ვიყავი დაკავებული. ცხადია, მიმდინარე პოლიტიკური პროცესები მეც მაღელვებდა, მაგრამ არავინ არაფერს მეკითხებოდა და არც მე ვაქტიურობდი.

ამ ფონზე, ჩემთვის მოულოდნელი იყო ახალი მთავრობის მაღალჩინოსნის მურმან ომანიძის ზარი, რომელიც 1991 წლის 6 აპრილს, გვიან ღამით ჩემს სახლში გაისმა.

– ნაპოლეონ, ხვალ დილით 8 საათისთვის, ოთარ ზუხბაიასთან ერთად, უნდა იყოთ ვაზიანის სამხედრო აეროდრომზე, – სერიოზული ტონით მითხრა მან.

მურმანს სტუდენტობის დროიდან ვიცნობდი. მას უყვარდა სიურპრიზები, მაგრამ ამჯერად, როგორც მისი ხმის ტონალობიდან მივხვდი, ეს ხუმრობა არ იყო.

– მურმან, დილით ისედაც მივფრინავ მოსკოვში, მეცნიერებათა აკადემიის სესიაზე დასასწრებად. მითხარი, რატომ უნდა გავფრინდე სამხედრო აეროდრომიდან და არა ცენტრალური აეროპორტიდან?

პროფ. ფ. მამფორია და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. ხარაძე – ინსტიტუტის ორანჟერეაში. ქ. სოხუმი. 1982 წელი.

– ნაპოლეონ, ჩვენ მივფრინავთ ზვიად გამსახურდიას დავალებით. ახლა მეტს ვერაფერს გეტყვი, – მითხრა ომანიძემ და ტელეფონი გათიშა.

სახტად დავრჩი. გამსახურდიას, რომელიც ხეირიანად არც კი მიცნობდა და არც გაცნობის სურვილი ჰქონდა, რაში დავჭირდით ყოფილი კომუნისტები?! მას ხომ ჩინოვნიკების უზარმაზარი არმია ჰყავს?!.

თვითმფრინავში ომანიძემ მ.გორბაჩოვის სახელზე დაწერილი წერილი გადმოგვცა, რომელშიც ეწერა: **„მურმან მელიტონის ძე ომანიძე არის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი (!!!), თანმხლებ პირებთან ერთად: (სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი ო.ზუხბაია, აკადემიკოსი ნ.ქარქაშაძე, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში ნ.მეძმარიაშვილი), უფლებამოსილია აწარმოოს მოლაპარაკებები, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხებთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი პოლიტიკური და სამთავრობო თანამდებობების წარმომადგენლებთან“...** და ა.შ. წერილს ხელს ზ.გამსახურდია აწერდა.

– მურმან, რას ნიშნავს ეს? რა მოლაპარაკებაზეა საუბარი?

ომანიძე სერიოზული სახით დაჯდა ჩვენს გვერდით.

– თქვენც იცით, რომ რეფერენდუმზე ქართველმა ხალხმა მხარი დაუჭირა საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას. 9 აპრილს უზენაესი საბჭო მიიღებს დეკლარაციას დამოუკიდებლობის შესახებ. როგორ ფიქრობთ, კრემლი სიხარულით შეხვდება ამ გადაწყვეტილებას? ცხადია, არა... იმიტომ, რომ არ დაგვწამონ სეპარატისტობა, ჩვენ მიგვაქვს ზ.გამსახურდიას წერილი მ.გორბაჩოვის სახელზე და ვაყენებთ მას საქმის კურსში, თანაც ვაფრთხილებთ (!!!), რომ გაგებით მოეკიდოს ჩვენს გადაწყვეტილებას.

– კი მაგრამ, ერთი დღით ადრე? მერე როგორ მოვახერხებთ ჩვენ გორბაჩოვთან შეხვედრას? ან ჩვენ ვინა ვართ, რომ გორბაჩოვს თითი ვუქნიოთ?

– შევხვდებით მასაც და სხვებსაც, ამიტომ მზად უნდა ვიყოთ მძიმე და სერიოზული საუბრისთვის, – თქვა ომანიძემ და პილოტების კაბინაში შევიდა.

– ეს რაღაცას ბლეფობს. გამსახურდია ჩვენ არც კი გვიცნობს, – თქვა ზუხბაიამ.

– კაცი გუშინ ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე იყო, დღეს მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრია, ასეთი კარიერა ტალეირანსაც კი არ ჰქონია... რამე შარში არ გაგვხვიოს, – ვთქვი და ომანიძე პილოტების კაბინიდან გამოვიყვანე.

– მურმან, ნორმალურად აგვიხსენი, რა ხდება?! რატომ ჩვენ და არა მთავრობის წევრები? ვის გავახსენდით და რა ნიშნით აგვირჩია გამსახურდიამ?

– მოდი, ასე ვთქვათ: მოსკოვში წასვლის იდეა ჩემია, რაც ზვიადის გარემოცვამ უარყო. სხდომის შემდეგ, ზ.გამსახურდიამ დამტოვა და დეტალურად გაეცნო ჩემს გეგმას. „საეჭვოა, რომ რამე გამოვიდეს, მაგრამ მაინც სცადეო“, – მითხრა. მე უფლებებისა და სტატუსის დროებით გაზრდა მოვითხოვე და განკარგულების პროექტიც წარვუდგინე, რომელსაც მან ზერელედ გადახედა და ხელი მოაწერა, პროექტში კი, როგორც ნახეთ, თქვენი გვარები ეწერა...

– მერე ზვიადმა ჩვენზე რა თქვა? – ვიკითხე მე.

– მე მათ არ ვიცნობ, შენ თუ მიგაჩნია საჭიროდ დელეგაციაში მათი ყოფნა, წინააღმდეგი არ ვარო, ასე თქვა.

– თუ ჩავფლავდით და ვერაფერი გავაკეთეთ, მაშინ?..

– არ ჩავფლავდებით, ყველაფერი გათვლილი მაქვს, – იყო პასუხი.

– ე.ი. შენი თანამდებობები დროებითია!

– ჯერჯერობით ასეა... თქვა და ისევ პილოტებთან შევიდა.

მე და ზუხბაიამ გაკვირვებულებმა გადავხედეთ ერთმანეთს...

საქართველოს წარმომადგენლობაში ხანმოკლე თათბირის შემდეგ, პირველი ვიზიტი დღის 3 საათზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მ.გორბაჩოვის თანაშემწე გ.შახნაზაროვთან შედგა. იგი თბილისში დაბადებული სომეხი აღმოჩნდა, რომელიც კომპარტიის ისტორიის სპეციალისტი და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი იყო.

შახნაზაროვმა „გულთბილად“ მიგვიღო, გახსენა თბილისში უკანასკნელად ყოფნის პერიოდი, მოიკითხა ზოგიერთი ნაცნობი და შემდეგ ყურადღებით წაიკითხა ზ.გამსახურდიას წერილები.

– აქ რაც წერია, ჩვენთვის მოულოდნელია, კარგი იქნებოდა, წინასწარ გეცნობებინათ ამის შესახებ, – თქვა და წერილები ტყავის წითელ საქაღალდეში ჩადო.

– ბატონი ზვიად გამსახურდია შეეცადა ამხ.გორბაჩოვთან დაკავშირებას, მაგრამ ვერ შეძლო, – უპასუხა ომანიძემ.

– ასეთი საკითხების გადაწყვეტა სხვა რეჟიმში ხდება. პირველ პირებს ჰყავთ თანაშემწეები, რომლებიც აგვარებენ ტექნიკურ საკითხებს, – უკმაყოფილო ტონით თქვა მან. შემდეგ მოიბოდიშა და ოთახიდან გავიდა.

– რამდენიმე წუთში ყველა სამთავრობო სტრუქტურას ეცოდინება ჩვენი ვიზიტის შესახებ, – თქვა მეძმარიაშვილმა.

ოთახში დაბრუნებულმა გვაუწყა, რომ მ.გორბაჩოვი მოსკოვში არ იმყოფება, ამიტომ მასთან შეხვედრა სათუოა, შემდეგ ფურცელი და ფანქარი მოიმარჯვა.

– გთხოვთ, მითხრათ, კიდევ ვისთან გსურთ შეხვედრები, ჩვენ გავაკეთებთ ამის ორგანიზაციას.

– ზ.გამსახურდიას წერილების ადრესატი მიხეილ სერგის ძეა, ამიტომაც ჩვენი ამოცანა მასთან შეხვედრაა, – უკმაყოფილოდ თქვა ომანიძემ.

– მეგობრებო, უკვე გაუწყეთ, რომ ამხანაგი გორბაჩოვი მოსკოვში არ იმყოფება. სახელმწიფოში არიან სხვა ხელმძღვანელებიც უმაღლეს საბჭოში, მთავრობაში, ადგილზეა ვიცე-პრეზიდენტიც... ჩვენ შევეცდებით მაქსიმალურად შეგიწყოთ ხელი.

– ჩვენ დრო ცოტა გვაქვს, ამიტომ დღესვე უნდა დაიგეგმოს შეხვედრები, შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრებთან, ხვალ დილით გვინდა, შევხვდეთ სახტელერადიო კომიტეტის თავმჯდომარეს და ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისევ ვითხოვთ მიხეილ სერგის ძესთან შეხვედრას, – თქვა ომანიძემ.

– თქვენს წერილებს დღესვე გადავცემთ მიხეილ სერგის ძეს, რაც შეეხება სხვა შეხვედრებს, თქვენ ამის შესახებ ნახევარ საათში შეგატყობინებენ, – თქვა შახნაზაროვმა და ფეხზე წამოდგა, შემდეგ მიიხედ-მოიხედა (!!), თითქოს ვიღაცას ემალებაო და ხმადაბლა გვითხრა, – მინდა არაოფიციალურად გაცნობოთ, რომ მზადდება ძალიან საინტერესო სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელშიც მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფოებრივობა ფაქტობრივად დაკანონებულია. თქვენ გეყოლებათ ელჩები, გექნებათ დამოუკიდებელი კონსტიტუცია, რესპუბლიკის შიგნით სრული ავტონომია, ფაქტობრივად მოკავშირე რესპუბლიკები კონფედერაციის ფორმით შევლენ ახალ კავშირში... სამწუხაროა, რომ თქვენი წარმომადგენლები კომისიის მუშაობაში მონაწილეობას

არ იღებენ!..

– რასაც ამბობთ, შეიძლება საინტერესო იყოს, მაგრამ ამ ეტაპზე საქართველოს კონკრეტული ამოცანა აქვს, – სრული დამოუკიდებლობა, რომლის შემდეგ, ცხადია, ვითანამშრომლებთ ყველასთან, ვისაც კი ამისი სურვილი ექნება და პირველ რიგში დიდ რუსეთთან, – უპასუხა ომანიძემ.

შახნაზაროვმა ორჭოფულად გაიღიმა და დაგვემშვიდობა.

ნაპოლეონ ქარქაშაძე

(გაგრძელება იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 93-101

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველომ სასაზღვრო დავა უმაღლეს დონეზე აიყვანა

საქართველო-სამხრეთი ოსეთის საზღვარზე, სადაც რუსი მესაზღვრეები აწარმოებენ სადემარკაციო სამუშაოებს, კონფლიქტის მოწესრიგებაში ჩაერთო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რომელმაც მოუწოდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, ჩაერთოს სიტუაციაში. თბილისში არ არიან დარწმუნებული, რომ მიმართვას შედეგი მოჰყვება, მაგრამ ეს მიაჩნიათ უკანასკნელ შანსად, მოახდინონ ზეგავლენა ვითარებაზე სასაზღვრო ზონაში. ამ დროს საქართველოს პრემიერი ბიძინა ივანიშვილი უგულებელყოფს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მოწოდებას, მოწვეული იქნეს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა სასაზღვრო პრობლემების განხილვისთვის.

სიტუაციაში საქართველოს პატრიარქი ჩაერთო

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელის წერილი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტისადმი იწყება არა ასეთი გზავნილებისთვის ჩვეული დიპლომატიური მისალმების გარეშე, არამედ შეშფოთების გამოხატვით სიტუაციასთან დაკავშირებით სოფელ დიცის მახლობლად, სადაც რუსი მესაზღვრეები კვლავ აგრძელებენ დაბრკოლებების მშენებლობას მავთულხლართებით. პატრიარქი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ „ეს მტკივნეული და მოულოდნელი მოქმედებანი“ ხდება იმ მომენტში, როდესაც რუსეთის ფედერაცია და საქართველო „ცდილობენ მოაწესრიგონ ურთიერთობანი“.

„პატრიარქი ილია მეორე რამდენიმე თვის წინათ მოსკოვში შეხვდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს და მან მასზე მორწმუნე კაცის შთაბეჭდილება დატოვა, — განმარტა ჩვენთან საუბარში პოლიტოლოგმა იოსებ ცისკარიშვილმა.— ეკლესიის ხელმძღვანელი დარწმუნებულია, რომ პუტინთან შეიძლება და უნდა გვქონდეს კიდეც საქმე და ასეთი თანამშრომლობა უფრო ნაყოფიერი იქნება, ვიდრე პოლიტიკოსების დემარში“.

ილია მეორის თანაშემწემ მიქაელ ბოტკოველმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ საპატრიარქოში ჯერ არ მიულიათ პასუხი მოსკოვიდან. **„ჩვენ იმედი გვაქვს, რომ პასუხი იქნება თუნდაც მავთულხლართების გადაადგილების შეჩერების სახით ქართული ტერიტორიის სიღრმეში, თუ არა საპასუხო წერილისა ან განცხადების სახით“,** — დაუმატა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელმა.

ამ დროს, როგორც შიდა ქართლის რეგიონის ადმინისტრაციაში გვაცნობეს, რუსი მესაზღვრეები კვლავ აგრძელებენ ღობურების მშენებლობას არა მხოლოდ სოფელ დიცის გარშემო, არამედ სოფელ დვანის გარშემოც, აგრეთვე სხვა სასაზღვრო სოფლებთანაც, რის შედეგადაც სასოფლო საძოვრები და მცხოვრებთა ბაღ-ბოსტნები საზღვარს მიღმა აღმოჩნდნენ. რამდენიმე სოფელი, რომლებიც მიუახლოვდნენ დაბრკოლებებს და გამოთქვეს პროტესტი, დააპატიმრეს სახელმწიფო საზღვრის დარღვევის გამო, სამხრეთი ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო კი ავრცელებს განცხადებას: სამუშაოებისთვის ხელის შეშლის ნებისმიერი მცდელობა „მკვეთრად იქნება აღკვეთილი“.

სიტუაციაში ჩაერთო საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც. მან მოუწოდა პრემიერ ივანიშვილს, „დაუყოვნებლივ მოიწვიოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა და განიხილოს მასზე შექმნილი სიტუაცია“. ეროვნული უშიშროების საბჭო 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ არ შეკრებილა, ვინაიდან პრემიერი და ძალოვანი მინისტრები უარს აცხადებენ სხდომაში მონაწილეობაზე პრეზიდენტის თავმჯდომარეობით. **„ჩვენ არ განვიხილავთ საკითხს უშიშროების საბჭოს სხდომაში მონაწილეობის შესახებ. სააკაშვილმა გაიფუჭა ყველაფერი, რისი გაფუჭებაც შეეძლო და მასთან თათბირს არანაირი აზრი არ გააჩნია, — განაცხადა ჩვენთან საუბარში წყარომ პრემიერის აპარატში და იქვე დაუმატა: „ვითარებას საზღვარზე განვიხილავთ ყოველდღიურად, მათ შორის პრემიერისა და ძალოვანი მინისტრების მონაწილეობით, სააკაშვილის გაპიარებას კი ჩვენ არ ვაპირებთ“.**

Коммерсантъ

„ვოშინგტონ პოსტის“ შეცდომა: საქართველოში დემოკრატია უსაფრთხოდაა

მე უკვე ვწერდი იმის შესახებ, თუ რამდენად სასაცილოდ გამოიყურება მცდელობა, გააშავო საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც „პრორუსულს“ და „პუტინის კაცს“ უწოდებენ, თუმცა, სინამდვილეში ის აქტიურად გამოდის საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში შესვლისთვის. გარკვეულწილად, ეს აიხსნება არა იმით, თუ რა თქვა ან გააკეთა ივანიშვილმა. ასეთი კრიტიკა დაკავშირებულია იმასთან, რომ მიხეილ სააკაშვილმა შეასრულა უბრალოდ დიდებული საქმე მეგობრობის მოსაწესრიგებლად და მხარდაჭერის მოსაპოვებლად ვაშინგტონის ელიტის წრეებში, აგრეთვე თავის წარმოჩენით, როგორც ამერიკის ერთადერთმა საიმედო მოკავშირემ. ზიზღი და შიში ივანიშვილის წინაშე უფრო ძლიერია პოლიტიკური სპექტრის მარჯვენა ფლანგზე, მაგრამ ისეთივე ცენტრისტული ძალები, როგორიცაა „ვოშინგტონ პოსტი“, ასევე უკიდურესად სკეპტიკურად არიან განწყობილი ამ მილიარდერი პოლიტიკოსის მიმართ.

მაგრამ ამ ცოტა ხნის წინათ გაზეთი „ვოშინგტონ პოსტი“ გავიდა ახალ დონეზე, გამოაქვეყნა მხოლოდ ცალმხრივი და პანიკური სარედაქციო სტატია, რომელშიც ღიად განაცხადა, რომ **„დემოკრატია საქართველოში საფრთხის ქვეშაა“.** აი, რას წერს იგი:

წინა ხელისუფლება მერაბიშვილისა და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით დამნაშავეა კანონების დაუცველობასა და ოპონენტების, აგრეთვე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პერიოდულ დევნაში. და შემდეგ იწყება იმ ხელისუფლების დაუმსახურებელი ქება.

საქართველო სურთ, კვლავ დააბრუნონ რუსეთის პროვინციულ ჭაობში ყრუ აღგილების მიღმა

მილიარდერ ივანიშვილს, რომელმაც თავისი ქონება რუსეთში დააგროვა, შეეძლო განევითარებინა წარმატება მიხეილ სააკაშვილის მიერ ხელისუფლების მშვიდობიანი და დემოკრატიული გადაცემის შემდეგ, უარი განეცხადებინა წინა რეჟიმის წარმომადგენელთა დევნაზე და ყურადღება გაემახვილებინა ეკონომიკის მრავალწლიან და მყარ განვითარებაზე. ამის ნაცვლად ეკონომიკა გაიყინა, ახალი მთავრობა კი აკეთებს იმას, რომ თავს ესხმის ოპოზიციას სასამართლოსა და ქუჩებში.

ჯერ ერთი, საქართველოს მთავრობის დემოკრატიას (ან მის არარსებობას), არ აქვს არანაირი ურთიერთობა ეკონომიკურ ზრდასთან. სწრაფი ეკონომიკური განვითარება ხდება ზოგიერთ ავტორიტარულ სახელმწიფოებშიც, ზოგიერთ დემოკრატიულ სახელმწიფოში კი სახეზეა ეკონომიკური სტაგნაცია. დიდად არ მესმის, თუ რატომ აურია „ვოშინგტონ პოსტმა“ და ერთ დაფაზე დააყენა ეს მეტად სხვადასხვა რამ (პოლიტიკური ლიბერალიზმი და ეკონომიკური ზრდა), მაგრამ ეს იმდენად ცხადია, ელემენტარული შეცდომაა, რომ ეს მეტყველებს წამოყენებული არგუმენტების არაკეთილსინდისიერების შესახებ.

მაგრამ დავუბრუნდეთ სააკაშვილის მთავრობასა და მის მიერ კანონების „დაუცველობას“ (წაიკითხე: დარღვევას). აი, მხოლოდ რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ პატივცემული სამართალდაცვი ორგანიზაციები როგორ ეხმაურებიან ამის შესახებ მთავრობას და მის ურთიერთობას სამოქალაქო თავისუფლებასთან.

„ფრიდომ ჰოუზ“: „საქართველო კვლავ იტანჯება კორუფციისგან ელიტის რიგებში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ადმინისტრაციის განყენებულობა ქმნის ხელსაყრელ შესაძლებლობას ნათლიმამობისა და ინსაიდური გარიგებებისთვის... წამყვანი კერძო სატელევიზიო სადგურები ღებულობდნენ დიდ სუბსიდიებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობისგან და ეკავათ მთავრობის პოზიციის მხარე... სასამართლო ხელისუფლება იტანჯება ძლიერი კორუფციისგან და ზემოქმედებისგან, რასაც მათ აღმასრულებელი ხელისუფლება უწევს“.

ივანიშვილი - მე აბსოლუტურად ვმართავ სიტუაციას

„ემნისტი ინტერნეიშნლი“ შეშფოთებულია იმით, თუ რა ხდებოდა ამ კვირაში მთელ საქართველოში, როდესაც აწარმოებდნენ ოპოზიციური პარტიის წევრებისა და მომხრეების დაკითხვებს, რასაც თან ახლდა ცნობები სამართლებრივი დაცვის ნორმებისა და ოპოზიციის მომხრეთა დაშინების თვალსაზრისით. ოპოზიციის მომხრეების და სხვათა დაკითხვებს თან ახლავს მრავალრიცხოვანი ცნობები მათთვის სასამართლო დაცვის უფლების ჩამორთმევის შესახებ, რისი დაცვის უფლებაც მათ აქვთ კანონით. მხოლოდ ოპოზიციური პარტიისა და მათი სავარაუდო მომხრეების შერჩევითი დაკითხვები, მიცემული შეკითხვების ხასიათი და თავად დაკითხვებზე გამოძახებულთა ოდენობა მეტყველებს ამ მოქმედებებში პოლიტიკური სარჩულის არსებობას და როგორც რეალურ, ისე პოტენციურ დაშინებას“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია: „სახეზეა მრავალი საგანგაშო სიგნალი, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ მთლიანად მოძრაობის პოზიტიური მიმართულება საქართველოში შეიძლება თვითდინებაზე მიუშვან, მოდერნიზაციისკენ მისწრაფების ნაცვლად კი შეიძლება გაჩნდეს შიშის ატმოსფერო, დაშინება და ფუნდამენტალურ თავისუფლებათა დესპოტური შეზღუდვები... საქართველოს ერთადერთი შესაძლებელი გზა აყვავებისკენ, სიმდიდრისა და უშიშროებისკენ — ეს არის ადამიანის უფლებათა დაცვა და საფუძვლიანი თავისუფლება. სახელმწიფოს უკანასკნელი საკანონმდებლო აქტები და მოქმედებანი საფრთხეს უქმნიან განვითარების ასეთ გზას“.

ივანიშვილი - ვოცნებობ მოვანესრიგოთ ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან და შევუერთდეთ ნატოს

მსჯელობა მერაბიშვილის და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სხვა ხელმძღვანელთა კანონიერი ან უკანონო სისხლის სამართლის შესახებ შეიძლება მხოლოდ, თუ შევხედავთ საჩივრებსა და მოწმეთა მაჩვენებლებს, რასაც წარმოგვიდგენს საქართველოს მთავრობა, აგრეთვე, სასამართლო პროცესების მიმდინარეობა. თუ ივანიშვილის მთავრობა წარმოადგენს აშკარად გაყალბებულ დადასტურებებს და გააგრძელებს ღია ზემოქმედებას სასამართლოებზე, რათა მათგან მიაღწიოს დანაშაულობათა ვერდიქტს, ეს იქნება მხოლოდ იმის დამოწმება, რომ საქართველოს დემოკრატია გაჭირვებაშია. მაგრამ თავად ფაქტი, რომ მან წაუყენა ბრალდება მერაბიშვილს, არაფერზე არ მეტყველებს.

მე ჭეშმარიტად მაქვს იმედი, რომ საქართველო შეძლებს მიაღწიოს წარმატებებს კანონის და დემოკრატიის ხელისუფლების განმტკიცებაში. მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელები წინა ხელისუფლებიდან წარსდგებიან სასამართლოს წინაშე მრავალმხრივი ბოროტმოქმედებებისა და დარღვევებისთვის, რასაც მათ დროს ჰქონდა ადგილი. ჩვენ თვალყური უნდა ვადევნოთ არა იმას, გადასცემენ თუ არა სასამართლოს — ხელმძღვანელებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, არამედ იმას, თუ როგორ განხორციელდება ეს. საბოლოო ჯამში, მთავარია დაადასტურო ეს. იქნებ ივანიშვილის მთავრობა აწარმოებს პოლიტიკურ დევნას ქაჯებისა, ან იქნებ ეს სავსებით გამართლებული მისწრაფებაა სამართლიანობისკენ. უბრალოდ, საჭიროა ველოდოთ და თვალყური ვადევნოთ მიმდინარე მოვლენებს. მაგრამ არ არის საჭირო ვაკეთოთ ის, რაც გაზეთმა „ვოშინგტონ პოსტმა“ გააკეთა თავის სარედაქციო სტატიაში: მიკერძოებითი თამაში მაყურებელთან პოლიტიკური ეფექტის მოხდენაზე გაანგარიშებითა და დაუსაბუთებელი სპეკულაციებით.

სინამდვილეში ეს არის იმის დამოწმება, რომ ქართული დემოკრატია იმავე მდგომარეობაშია, რომელშიც ადრე იყო, თუმცა, ამით სიხარული მართლაც არ ღირს.

Forbes

დედამიწის ზურგზე

ყირგიზეთის პრეზიდენტმა მასობრივი უწესრიგობის რაიონში გააუქმა საგანგებო შემთხვევის რეჟიმი და დამნაშავეთა დასჯა მოითხოვა

საგანგებო მდგომარეობა შეიქმნა 31 მაისს უდიდესი ოქროს საბადოების რაიონში ამ რეგიონში უწესრიგობებთან დაკავშირებით. ადგილობრივ მცხოვრებთა და პოლიციის თანამშრომლებს შორის შეტაკების შედეგად სხვადასხვა სიმძიმის ტრავმები მიიღო 55 კაცმა, მათ შორის 13 პოლიციის თანამშრომელმა.

* * *

კადაფის ოქრო „ამოტივტივდა“ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში: ეძებენ მილიარდ დოლარს ზოდებში, ძვირფასეულობასა და ნაღდ ფულად

ინფორმაციით იმის შესახებ, რომ ლიბიის ყოფილი დიქტატორის ოჯახის ქონების ნაწილი გადაიგზავნა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ქვეყნის ხელისუფლებას მიმართეს ადამიანებმა, რომლებიც თავს ლიბიის მთავრობის წარმომადგენლებს უწოდებენ. მათი სიტყვებით, სიმდიდრე ინახება სამხრეთ აფრიკის ბანკების ოთხ ანგარიშზე. ლიბიელები ამბობენ, რომ სურთ დაუბრუნონ ეს ქონება ხალხს.

* * *

წყალდიდობა ევროპაში: წყალდიდობის დროს დაიღუპა სამი, რვა უგზო-უკვლოდ დაკარგული

ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანაში ერთბაშად სიტუაცია სულ უფრო და უფრო დაძაბული ხდება გაჭიანურებული წვიმებისა და წყალდიდობის შედეგად. წინა დღით იტყობინებოდნენ ორი დაღუპულის შესახებ ჩეხეთში. ორშაბათს ცნობილი გახდა კიდევ ერთი მსხვერპლის შესახებ, ამჯერად ავსტრიაში. ოთხი კაცი უგზო-უკლოდ დაიკარგა ჩეხეთში, ორი ავსტრიაში და ორი — გერმანიის სამხრეთში.

* * *

ჩინეთის ძათმის ხორცის გადამუშავების ფაბრიკაში ასზე მეტი კაცი დაიღუპა.

ცხილინის პროვინციაში საწარმოში ხანძარი დილის 6 საათზე გაჩნდა. შუადღისას ხელისუფლება იტყობინებოდა 112 დაღუპულის შესახებ. დაღუპულთა დიდი რიცხვი აიხსნება იმით, რომ საგანგებო შემთხვევის მომენტისთვის სათავსოს კარები, სადაც ხანძარი მოხდა, დაკეტილი იყო. 200-ზე მეტი კაცი შიგნით აღმოჩნდა დაბლოკილი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ინფორმაცია

ლაიმა ვაიკულე პატრიარქს ესტუმრა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საქართველოში ვიზიტად მყოფი რუსეთში მოღვაწე მომღერალი ლაიმა ვაიკულე მიიღო.

ილია მეორემ ლაიმა ვაიკულეს თავის მიერ დაწერილი საგალობლები მოასმენინა და ასევე, თავის მიერ შექმნილი ჯვარი უსახსოვრა.

უწმინდესმა იმედი გამოთქვა, რომ ლაიმა ვაიკულე საქართველოს კიდევ ესტუმრება.

უწმინდესმა მომღერალს საპატრიარქო პირადად დაათვალიერებინა, საკუთარი სამუშაო ოთახი აჩვენა და საპატრიარქოში არსებული სიწმინდეები მოალოცინა. პატრიარქთან შეხვედრის შემდეგ ლაიმა ვაიკულემ ჟურნალისტების შეკითხვაზე: რა შთაბეჭდილებით ტოვებს საპატრიარქოს, აღნიშნა, რომ „ამ გრძნობის გადმოსაცემად სიტყვები არ ჰყოფნის“.

◎ შაბათ-კვირის ჩანაწერები

გვესმას უწმინდესისა!

ხუმ მოვესწარით იმასაც, რომ ამ ბოლო დროს „უწიგნურ ქვეყანათა“ სიაშიც ვართ გამოჭიმული? ზოგი იუკადრისებს, რა იცის იუნესკომ, რუსთაველის ქვეყანაში როგორ შეიძლება წიგნი არ უყვარდეთო?!

დავანებოთ თავი , ბოლოს და ბოლოს, უშნო ტრაბახსა და წარსულით ტკბობას – ჩვენ ეს ვიყავით, ჩვენ ის ვიყავით... იმაზე ვიფიქროთ, დღეს რას ვაკეთებთ, რას წარმოვადგენთ, რამ შეაწუხა ასე მისი უწმინდესობა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, რომ თავის სამწყოსს მოუწოდა, წიგნს დასწაფებოდნენ, რადგან პრესა და ტელევიზია მიანც ზედაპირულ ცოდნას იძლევაო. **და, უწმინდესმა, შაბათი „წიგნის დღედ“ გამოაცხადა.**

ქართული ეკლესიის ბრძენმა საჭეთმპყრობელმა კარგად იცის, რა მოიტანა ტექნოლოგიების საუკუნემ, როგორ მიაჯაჭვა დიდ-პატარა ინტერნეტს, სოციალურ ქსელებს... ბევრი, რა ყასიდად იწერს პირჯვარს, ხოლო ბიბლია არასდროს გადაუშლია. სწორედ, ბიბლიის კითხვით დავიწყოთო, შაბათობით ადრიანად გაიღება ბიბლიოთეკები და გვიანობამდე მოემსახურება მკითხველებს, ჩვენ მცირე ერი ვართ და წიგნიერებამ, განათლებამ უნდა გადაგვარჩინოსო.

ღმერთმა ჰქნას, ისმინოს, უწმინდესო, თქვენი ეს დროული მოწოდება, ისმინოს, მეტადრე, ახალგაზრდა ქართველმა – ჩვენი ხვალინდელი დღის იმედმა!

ორნაირი ბავშვობა

მოდიან ურიამულით, სიცილ-კისკისით რუსთაველზე ნორჩები. აქეთ-იქიდან მასწავლებლები მოჰყვებათ. დღეს ხომ ბავშვთა დაცვის დღეა, ჰოდა, ეტყობა, ან მოდიან ზეიმიდან, ან მიდიან ზეიმზე – მიაქვთ რუსთაველის გამზირი...

მაგრამ, უცებ, თითქოს გული გამიჩერდა – რამდენიმე გოგო-ბიჭი, დაუბანელ-დაუვარცხნელი, ხან წინიდან დაუდგება გამვლელს, ხან გვერდიდან გაყვება ხელგამოშვერილი: – ბიძია, მომე, რა, ხურდა?! გამვლელები – ზოგი ნაბიჯს უჩქარებს, ზოგი ზიზღით შესცქერის და ქოქოლას აყრის: – გადი, გადაშენდი!.. ზოგიც – მოწყალეა...

იციან, ამათ, საერთოდ, რას ნიშნავს 1 ივნისი? არც იციან და არც აინტერესებთ! ლუკმა პურისთვის ხურდა ფულს მათხოვრობენ.

ეს თემა არახალია, ეს თემა გადაღეჭილია, რაც მოვყევი, ჩემს თვალწინ ხდებოდა 1 ივნისს და ერთხელაც გავიმეორე.

მერე რა, ვითომ, ეყოლებათ განმკითხავი?! მათ მხოლოდ ეგ ქუჩა-ქუჩა ხელგაშვერილი წანწალი დაამახსოვრდებათ ბავშვობის დღეებიდან... და, შურით აღვსილი თვალებით ცქერა მოჟრიამული თანატოლებისკენ.

– ეეეე... მოგცლია ერთი!.. ეგეთები ხომ უამრავია ჩვენს ქალაქებში თუ სოფელ-ადგილებში... არადა, მათაც საქართველოს მომავალი ჰქვიათ! – ჩაილაპარაკებს მკითხველი და ცამდე მართალი იქნება.

ერთადერთი რამ სურვილი...

უეჭველია, ეს კადრი, სადღაც, ლხინის დროსაა გადაღებული. მე, პირადად, ერთიორჯერ, ადრეც მინახავს ტელევიზიით. გუშინწინაც უჩვენეს: როიალთან დგას ჩვენი ძვირფასი გიგა ლორთქიფანიძე, აქეთ-იქიდან მეგობრები, კოლეგები ახვევია, სულ ახლოს, გვერდით კი, თავისი ცხოვრების თანამგზავრი ქალბატონი ქეთევან კიკნაძე უდგას.

ბატონ გიგას, როგორც იტყვიან, ყელი მოუღერებია, ეტყობა, ოდნავ გადაკრულშია და მთელი ხმით „ახვევს“:

შემოდგომის ყვავილებს,
დიდებასთან მივიტან,
ერთი შორი ოცნება,
მახსოვს ძველ მოტივიდან.
ვარდები არ არიან,
მაგრამ რა მევარდება,
სულო, რა გემართება,
გულო რა მოგივიდა...

მრავალსერიიან „დათა თუთაშხიაში“ გალაკტიონის ლექსზე შექმნილ ბიძინა კვერნაძის მელოდიას მღერის ქართული სარეჟისორო ხელოვნების კორიფე, ერისკაცი.

ბატონ გიგას, მეტწილად, ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე, ქართული თეატრის პრობლემებზე სასაუბროდ შევხვედრივარ ხოლმე, როგორც ჟურნალისტი, თუმცა, ბედნიერება მქონდა, რამდენჯერმე ასეთ „ფორმაშიც“ მენახა, ბრწყინვალე თამადობით, იუმორით, სიმღერით რომ აღაფრთოვანებდა გარშემომყოფთ.

ჰოდა, ახლა, როდესაც ტელეეკრანიდან კვლავ გადმოდიოდა რამდენიმე წლისწინანდელი მისი სილაღე, ერთადერთი რამ ვისურვე: – ვერ არის კარგად და, ღმერთო, ჯანმრთელად გვიმყოფე შეუდარებელი გიგა ლორთქიფანიძე.

ვილენ მარდალეიშვილი

პატივგება

საფეხბურთო კარიერა საქართველოს ეროვნული ნაკრების კიდევ ერთმა კაპიტანმა დაასრულა.

შემოთავაზებულ ფოტოკოლაჟში კახი კალაძის ღირსეული გაცილების კადრებს გაეცნობით, რომელიც, როგორც სპორტულმა, ისე შემოქმედებითმა და პოლიტიკურმა ელიტამ დააფასა.

გმადლობთ, „კალა“!

◎ ინფორმაცია

დააკავეს საფლავის შეურაცხმყოფლები

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მიცვალებულისადმი უპატივცემულობის ბრალდებით 1977 წელს დაბადებული ლალი დ. და 1985 წელს დაბადებული ალექსანდრე კ. დააკავეს.

სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულებმა, თანამზრახველებთან ერთად, შეურაცხყვეს რამდენიმე საფლავი, მათ შორის მიმდინარე წლის 24 მაისს ვაკე-საბურთალოს სასაფლაოზე სანდრო გირგვლიანისა და ირინა ენუქიძის საფლავიდან ფარზე დამაგრებული ბრინჯაოს ბოლნისის ჯვარი მოხსნეს. დაკავებულები აღიარებენ თავიანთ ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 258-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ჯგუფურად მიცვალებულისადმი უპატივცემულობას გულისხმობს და 3 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. დანაშაულში მხილებული სხვა პირების დასაკავებლად მიმდინარეობს სამძებრო სამუშაოები.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ფეხბურთი

ეს არაა ჩვენი სტილი

რაც დრო გადის, თემურ ქეცბაიას მიერ აღებული კურსი, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს სტილი უცვალოს და ფრთხილი ტაქტიკით ათამაშოს, კრახს განიცდის და თანდათან ხუხულასავით იშლება.

არ გეგონოთ, ამას ნიშნისმოგებით ვამბობდე. ღმერთმა დამიფაროს – უბრალოდ, მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავ გულისტკივილით, რადგან ქართველი ფეხბურთელი ძნელია ჩამშლელ მანერას აზიარო და იერიშებზე უარი ათქმევინო.

თუ ვინმე იტყვის, რომ ირლანდიელთა „ფუნთუშებად“ ქცეული „ჯვაროსნები“ (მათთან ზედიზედ მეხუთედ დავმარცხდით) ამჯერად საკადრო პრობლემებმა დაღუპა, ვუპასუხებ, რომ მასპინძლებიც ექსპერიმენტული შემადგენლობით დაგვიხვდნენ და კინი – მაკგიდის მრისხანე დუეტი უთანასწორო ბრძოლაში მხოლოდ მაშინ ჩააბეს, როცა შეხვედრის ბედი კარგა ხნის გადაწყვეტილი იყო.

იყო საკვანძო ეპიზოდიც: მე-20 წუთზე პირისპირ გასული ლონგის წაქცევისთვის რუმინელმა მსაჯმა კოლტესკუმ მინდვრიდან მეკარე ლორია გაგვიძევა, მაგრამ რიცხობრივი უმცირესობისთვის ყველაფრის დაბრალება, ვფიქრობ, არასწორი იქნება, რადგან ჯოვანი ტრაპატონის გუნდი მანამდეც ფლობდა უპირატესობას (ორჯერ სწორედ ლორიამ გვიხსნა) და, ალბათ, ადრე თუ გვიან საწადელს მაინც მიაღწევდა. მით უმეტეს, იმ „დომხალის“ ფონზე, რომელიც სტუმართა დაცვაში სუფევდა.

ხვალ დემორალიზებული საქართველოს ეროვნული ნაკრები ოლბორგში მორიგ სპარინგს დანიელებთან გამართავს. ვინატროთ, რომ ამ მეტოქესთან უკანასკნელ მატჩში (გაიოზ დარსაძის მწვრთნელობისას) განცდილი ფიასკო – 2:6 აღარ განმეორდეს.

ბრაზილია – ინგლისი 2:2, აშშ – გერმანია 4:3, უკრაინა – კამერუნი 0:0.

გია პლატონიშვილი

◎ ძიუდო

ბიჭები – მამების გზით

ოლიმპიური ჩემპიონის – შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიაში ორ დღეს გრძელდებოდა ახალგაზრდა ძიუდოისტთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ასპარეზობა საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა, რაც მთავარია, რამდენიმე პერსპექტიული მოჭიდავეც წარმოაჩინა. 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში გიგა ბერიაშვილმა ნახევარფინალური პაექრობა ოლიმპიური ჩემპიონის ლაშა შავდათუაშვილის უმცროს ძმას – ბექა შავდათუაშვილს მოუგო და ფინალშიც გავიდა, სადაც თანაგუნდელ ლუხუმ ჩხვიმიანთან დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

შარშან 81 კილოგრამი წონითი კატეგორიის ფინალში ბექა დოღვანმა თეიმურაზ ხაჩიძეს სძლია. ამჯერად მეტოქეები ნახევარფინალში გადაეყარნენ ერთმანეთს. ისევ დოღვანმა იმარჯვა, მაგრამ ტიტულის შენარჩუნება ვერ შეძლო – გადამწყვეტი ორთაბრძოლა უჩა მარგიანთან დათმო.

მძიმე წონის ფინალში სახელოვანი ფალავნების – ოლიმპიური ჩემპიონის დავით ხახალეიშვილისა და მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორის აკაკი კიბორძალიძის ვაჟები – როსტომი და გუგა დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. დამატებით დროში შესრულებული ილეთით ჩემპიონობა ხახალეიშვილმა მოიპოვა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ორ-ორი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლით იმერეთის გუნდმა გაიმარჯვა. შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთის, თბილისის, სამაჩაბლოსა და რაჭა-ლეჩხუმის გუნდებმა თითო ჩემპიონით ჩაამთავრეს შეჯიბრება.

ჩემპიონატის საუკეთესო ძიუდოისტებს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გია გუგავა სხვადასხვა შეჯიბრებაზე გამოცდის და მხოლოდ ამის შემდეგ დააკომპლექტებს გუნდს, რომელსაც ბოსნია-ჰერცეგოვინაში ევროპის პირველობაზე (20-22 სექტემბერი) წაიყვანს.

ნნ კგ. 1. მინდია ღოლიჯაშვილი (შიდა ქართლი), 2. ლერი ჭელიძე (იმერეთი), 3. ვანო ჯავახიშვილი (შიდა ქართლი), სანდრო ხუციანიძე (თბილისი).

60 კგ. 1. ლუხუმ ჩხვიმიანი, 2. გიგა ბერიაშვილი (ორივე-ქვემო ქართლი), 3. ბექა შავდათუაშვილი (შიდა ქართლი), ზაზა როსტომაშვილი (კახეთი).

66 კგ. 1. გელა კელიხაშვილი (თბილისი), 2. ზაზა სიმონიშვილი, 3. გიორგი გუგულაშვილი (ორივე-შიდა ქართლი), გიორგი მათიაშვილი (ქვემო ქართლი).

73 კგ. 1. აპოლონ ზურაბიანი (რაჭა-ლეჩხუმი), 2. თომა თავზარაშვილი (თბილისი), 3. ალექსი ნანიევი (კახეთი), ომარ ნიაზაშვილი (თბილისი).

81 კგ. 1. უჩა მარგიანი (იმერეთი), 2. ბექა დოღვანი (რაჭა-ლეჩხუმი), 3. ზაურ მამარდაშვილი (კახეთი), თემურ ხაჩიძე (თბილისი).

90 კგ. 1. ილია მალვენიშვილი (კახეთი), 2. უშანგი გასიტაშვილი (შიდა ქართლი), 3. შოთა ჟორჟოლიანი (სამეგრელო - ზემო სვანეთი), მერაბ ქალდანი (ქვემო ქართლი).

100 კგ. 1. თორნიკე ოთინაშვილი (სამაჩაბლო), 2. გიორგი სეტიელი (თბილისი), 3. კარლო ნემსიწვერიძე (იმერეთი), ავთანდილ სომხიშვილი (აფხაზეთი).

+100 კგ. 1. როსტომ ხახალეიშვილი, 2. გუგა კიბორძალიძე, 3. გიორგი ზაქარიაძე (სამივე-იმერეთი), ამბროსი კონკროშვილი (თბილისი).

ლეძსო ცინცაძე

◎ სპორტული ჯარი

ტურნირი შვიდკაცა რაგბიში

თავდაცვის სამინისტროს სპორტული სამსახურისა და საქართველოს რაგბის კავშირის ორგანიზებით, შეიარაღებული ძალების ტურნირი გაიმართა შვიდკაცა რაგბიში. რიგით მე-ნ ღონისძიებაში ქვეითი და საარტილერიო ბრიგადების, ეროვნული თავდაცვის აკადემიის, ეროვნული სასწავლო ცენტრ „კრწანისის“ და სპეციალური ოპერაციების ძალების გუნდები მონაწილეობდნენ. თამაშები რუსთავის სარაგბო სტადიონზე გაიმართა.

გადამწყვეტ მატჩს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა ბროლაძე, საქართველოს გაერთიანებული შტაბის ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდალი, ვიცე-პოლკოვნიკი გიორგი კერესელიძე და საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი გია ნიჟარაძე დაესწრნენ.

ფინალში სპეციალური ოპერაციების ძალებმა პირველი ქვეითი ბრიგადა 16:14 დაამარცხეს.

გუნდები საქართველოს რაგბის კავშირისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მორაგბეთა გუნდის „არმიის“ მწვრთნელებმა მოამზადეს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ამანათრბენი

აქტიური მოქალაქის ამანათი

ასე ერქვა შეჯიბრებას, რომელიც ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი – გია ბეგიაშვილი) ინიციატივით გაიმართა „სპორტი ყველასათვის“ ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი – ოლიმპიური პრიზიორი მაია აზარაშვილი) თანადგომით. ღონისძიებაში თბილისის 50 საჯარო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ (თითოეულ გუნდში – ოთხი გოგონა და ოთხი ვაჟი). მოასპარეზეებმა ჯერ ამანათრბენში მოსინჯეს ძალები ფილარმონიიდან თავისუფლების მოედნამდე ოთხი საშუალედო ფინიშით. აქ პირველი ადგილი 168-ე სკოლის გუნდს ერგო, მეორე ადგილზე 191-ე სკოლის წარმომადგენლები გავიდნენ, მესამე ადგილზე – 98-ე სკოლის ნაკრები. ინტელექტუალურ პაექრობაში კვარცხლბეკზე ადგილები ასე განაწილდა: 1. 150-ე, 2. 168-ე, 3. 98-ე სკოლა.

გივი გაგუა

სურათებზე: 168-ე სკოლის გუნდი; გამარჯვებულებსა და პრიზიორებს აკრობატიკაში ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი მანანა მნათობიშვილი აჯილდოებს.

◎ ტაბლო

ხელბურთი

ჩემპიონთა ლიგა. კიოლნი. ოთხთა ფინალი. ნახევარფინალი. „ჰამბურგი“ – „კილი“ 39:33, „ბარსელონა“ – „ვივე კელცე“ 28:23.

მატჩი III ადგილისთვის. „ვივე კელცე“ – „კილი“ 31:30. **ფინალი.** „ჰამბურგი“ – „ბარსელონა“ 30:29 (დამატებით დროში. ძირითადი დრო 25:25).

წყალბურთი

ჩემპიონთა ლიგა. ბელგრადი. ოთხთა ფინალი. მატჩი III ადგილისთვის. „ბარსელონა“ – „პარტიზანი“ 11:10. **ფინალი.** „ცრვენა ზვეზდა“ – „დუბროვნიკი“ 8:7.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჭიდაობა

ხუთი მედლით – იტალიიდან

სამი ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი – ასეთი შედეგით დაასრულეს იტალიურ სასარიში ასპარეზობა ქართველმა ფალავნებმა „ოქროს დიდ პრიზზე“. ნაკრების მთავარი მწვრთნელის – რევაზ მინდორაშვილის ხელმძღვანელობით თავისუფალი სტილით მოჭიდავეთაგან კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (55კგ), მალხაზ ზარქუა (66) და გიორგი საკანდელიძე (120). დავით ქერაშვილმა (96) მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო თურქ ქენან გიორთან და მეორე ადგილს დასჯერდა, ხოლო გიორგი ედიშერაშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ხინჩეგაშვილმა ფინალში პუერტორიკოელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ფრანკლინ გომესი დაამარცხა, ზარქუამ გადამწყვეტ ორთაბრძოლაში თურქ მუჰამედს აჯობა, საკანდელიძემ კი რუმინელი დანიელ ჩინტოანუ დაჩაგრა.

ლაშა დიდია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კვირის შეკითხვები

წამლის შერჩევა ექიმის საქმეა

აფთიაქებში დღეს იყიდება უამრავი წამალი, რომლებიც ალერგიას მკურნალობენ. მაგრამ, ჩემი აზრით, ყველა ანტიჰისტამინური საშუალება ერთნაირად მოქმედებს, ამიტომ დიდი მნიშვნელობა არა აქვს, კერძოდ, რომელი პრეპარატი უნდა იყიდო, რომ ალერგიის სამკურნალოდ გამოგადგეს. მართალი ვარ თუ არა?

ი.ჭილაძე, ლანჩხუთი

გვიპასუხებს ექიმი-ალერგოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი თენგიზ კიკნაძე:

— თქვენ არ ბრძანდებით მართალი ორგზის. ჯერ ერთი, ანტიჰისტამინური საშუალებები კი არ მკურნალობენ, არამედ საშუალებას გვაძლევენ მხოლოდ გავაკონტროლო დაავადება. ისინი ეფექტიანად გვაშორებენ თავიდან ალერგიის ამა თუ იმ სიმპტომს: — ქავილს, კანის გამონაყარს, ცრემლდენას, ცხვირის ცემინებას, ცხვირის „გაჭედვას“, ხველებას, სუნთქვის გართულებას. მათი მოქმედების მექანიზმი შემდეგია: როდესაც ბლოკავენ H1 რეცეპტორებს, ამ ჯგუფის წამლები საშუალებას არ აძლევენ ანთების მედიატორს — ჰისტამინს — შეუერთდეს უჯრედებს. ამ დროს წყდება ნერვულ დაბოლოებათა სტიმულაცია და უჯრედებიდან ალერგიის მედიატორების გამოყოფა, მცირდება შეშუპება, ანთებითი რეაქცია და ქავილი.

მეორეც, წამლების სხვადასხვა ჯგუფი, რომლებიც ანტიჰისტამინების კლასს განეკუთვნებიან, ალერგიული რეაქციების განვითარების სხვადასხვა მექანიზმზე მოქმედებენ. მაგალითად, პირველი თაობის პრეპარატები, გახდა H1 ჰისტამინური რეცეპტორებისა, ბლოკავენ სხვა რეცეპტორებსაც. თანამედროვე პრეპარატები კი მოქმედებენ უფრო შერჩევით. ამიტომ თქვენთვის საჭირო პრეპარატების შერჩევა შეუძლია მხოლოდ ექიმს.

თუ წყალი ყურში ჩარჩა

ბანაობის დროს ყურში წყალი ჩამივიდა და არაფრით იქიდან არ გამოდის, სულ მიბჟუის. რა ვქნა? ეს სახიფათოა?

ზ. ბადრიძე, ზესტაფონი

გვიპასუხებს ექიმი-ოტოლარინგოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი თენგიზ სიხარულიძე:

— ალბათ, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ თქვენ ყურის გასასვლელში გაქვთ გოგირდი. ეს პატარა გუნდა მთლიანად ვერ კეტავს გასასვლელს, ხელს უშლის წყლის გამოდინებას. ამ შემთხვევაში შეიძლება (ოღონდ მეტად ფრთხილად და აუცილებლად მხოლოდ პატარა სიღრმეში) ყურში შევიტანოთ სპეციალური თხელი ბამბის ჩხირი. მაგრამ ამ მანიპულაციამ შეიძლება გააუარესოს სიტუაცია, ჩატენოს გუნდა საცობში. ამიტომ იმოქმედეთ აკურატულად, ხოლო თუ არ დაგეხმარებათ — მიმართეთ ექიმს. ნუ გეშინიათ: ყურის გამორეცხვა და გოგირდის მოშორება — რამდენიმე წუთის საქმეა. თანაც ეს სრულიად უმტკივნეულოა.

ყოფნა-არყოფნა უმის მჭამელობისა?

მალე გამოსაშვები საღამო გვექნება და გადავწყვიტე თავი ფორმაში მოვიყვანო. ვზივარ მეტად მკაცრ დიეტაზე (მხოლოდ უმ ბოსტნეულს ვჭამ). დედა მეუბნება, რომ ასე ჩემ ჯანმრთელობას დავლუპავ და შემდეგ ბავშვებიც აღარ მეყოლება. რა, დიეტები ასე სახიფათოა?

ნელი ბაღდავაძე, ჭიათურა

გვიპასუხებს ექიმი-დიეტოლოგი თამარ შავიშვილი:

— ვიკვებოთ მხოლოდ ბუნების ძღვენით, მით უმეტეს თერმულად დაუმუშავებელით, მაინც არ ღირს, იმიტომ, რომ უჯრედისების ძალიან დიდი ოდენობა გააღიზიანებს კუჭ-ნაწლავს და ეს მას სიკეთეს არ მოუტანს. უმად ჭამისთვის არის სხვა საწინააღმდეგო მაჩვენებლებიც.

თანაც თქვენი ორგანიზმი ჯერ კიდევ იზრდება, და ამიტომ მას სრულფასოვანი კვება სჭირდება: ცილები, ცხიმები და ნახშირწყლები. მარტო უმი ბოსტნეულის ღეჭვით თქვენ ბევრ ამ ნივთიერებას ვერ ღებულობთ. მსოფლიოში დიდი ხანია სწავლობენ უმად ჭამის გავლენას ორგანიზმზე. მაგალითად, გასული საუკუნის ბოლოს გერმანელმა მეცნიერებმა კლაუს ლეიცმანმა მოაწყო მასშტაბური გამოკვლევა და გამოარკვია, რომ იმ ქალების მესამედს, ვინც მხოლოდ უმი ბოსტნეულით იკვებებოდა, აწუხებდა ამენორეა (ხანგრძლივი, 6 თვეზე მეტი ხნით, მენსტრუაციის უქონლობა). გამოკვლეული ქალებისა და მამაკაცების 15 პროცენტს რკინის დეფიციტი გამოუვლინდა. სხვა გამოკვლევებმა გამოავლინეს, რომ უმადმჭამელებს აწუხებთ კბილის ემალის ეროზია და წონის უკმარისობა. კრიტიკულზე დაბალი წონის დროს (45 კილოგრამი) ნელდება ჰიპოფის წარმოქმნა და საკვერცხეების მიერ ჰორმონების გამოყოფა, მცირდება საშოს და სარძევე ჯირკვლების მოცულობა, წყდება მენსტრუაცია. ასე რომ, დედათქვენი აბსოლუტურად მართალია.

ნუთუ ალერგია კიბოსგან დაცვაა?

ამბობენ, რომ ვისაც აქვს ალერგია — კვებითი ან რომელიმე მცენარეზე, — მას კიბო ნაღდად არ ექნებაო. ვითომ, ბუნება ასეთ კომპენსირებას ახდენს დაავადებაზეო. სწორია ეს?

ზ.ჭიჭინაძე, მარნეული.

გვიპასუხებს პროფესორი თამაზ მხეიძე:

— ადრე ექიმებს მართლაც ასე ეგონათ და ალერგიით დაავადებულებს ერთგვარად ამშვიდებდნენ: „მადლობა ღმერთს, რომ გაქვთ ალერგია, — კიბო აღარ იქნება“. მაგრამ ბოლო დროის გამოკვლევებმა აჩვენეს: იმუნოლოგიური ცვლილებები, რომლებიც მოსდით ავადმყოფებს ალერგიული რეაქციებით, ავთვისებიანი სიმსივნისგან არ გვიცავენ და, სამწუხაროდ, მათ კიბო შეიძლება განუვითარდეთ.

რითაა საშიში მაცივარი?

გამიგონია, საწოლის თავი არ უნდა იყოს მაცივრის ახლოსო. თუ ის არის სამზარეულოში საძინებლის კედლის იქით და მისი გადატანა შეუძლებელია, შეიძლება როგორმე დავიცვათ თავი ეკრანით — მაგალითად, ჩავდგათ ფოლგის ფირფიტა?

ვ.ტაბატაძე, თბილისი

გვიპასუხებს ფიზიკის მეცნიერებათა კანდიდატი თინათინ გამყრელიძე:

— მაცივრები სხვადასხვაგვარია. ჩვეულებრივი ნაკლები დონის მაგნიტურ ველს ქმნის. იმას, რომელიც არ ითხოვს გაყინვას, აქვს დიდი სიძლიერე. კედლები მისთვის დაბრკოლება არ არის. მუდმივმა გამოსხივებამ შეიძლება გუნება-განწყობილების გაუარესება გამოიწვიოს. ამიტომ მაცივარი სამზარეულოშიც რომ იყოს, თქვენ კი კედლის მეორე მხარეს საძინებელში, უმჯობესია, რომ მანამდე მანძილი 1,5 მეტრი იყოს, მინიმუმ 0,5 მეტრი. საწოლის უფრო ახლოს დადგმა უკვე სახიფათოა.

რაც შეეხება ველის ეკრანირებას, საჭიროა სპეციალური მასალა ეგრეთ წოდებული რბილმაგნიტიანი ლითონების შენადნობებისგან იყოს, თანაც მას უნდა ჰქონდეს ეკრანის სპეციალური კონფიგურაცია. მისი შექმნა ძნელად რომ შეძლოს ჩვეულებრივმა ადამიანმა.

რა უნდა იყოს საოჯახო აფთიაქში აუცილებლად?

რა წამლები უნდა ჰქონდეთ მშობლებს საოჯახო აფთიაქში?

დ.გრიგოლია, ლანჩხუთი

გვიპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ვლადიმერ ცხომელიძე:

— საოჯახო აფთიაქში აუცილებლად უნდა იყოს სიცხის დამწვევი საშუალებები, სისხლძარღვთა შემავიწროებელი წვეთები ცხვირში ჩასაწვეთებლად (გადაუდებელი დახმარება ოტიტის დროს), სანთლები გლიცერინით (ოყნის შემცველი), რეჰიდრატაციის საშუალებანი (რეჰიდრონი, გასტროლიტი — პირის ღებინების, ფაღარათის დროს დაკარგული სითხის აღდგენისთვის, მაღალი ტემპერატურის დროს), ალერგიის საწინააღმდეგო საშუალებები.

ყოველთვის ხელთ უნდა გქონდეთ ჭრილობების დასამუშავებელი საშუალებები. თუმცა, მათ არ განეკუთვნება არც იოდი, არც ე.წ. „ზელიონკა“, არც წყალბადის ზეჟანგი — ცივილიზებულ მედიცინასთან მათ უკვე აღარანაირი კავშირი არა აქვთ, ჭრილობების დასამუშავებელი საშუალებები უნდა იყოს აეროზოლის პატარა ბალონი (მაგალითად, ქლორგექსიდინი).

აფთიაქში უნდა იყოს ასევე სამედიცინო ინსტრუმენტები (მაკრატელი, ინგლისური ქინძისთავი, ნემსი, შპრიცი), სახვევი მასალა და სიცივის ელემენტები (ჭურჭელი ყინულით).

გახსოვდეთ: თუ ღრძობის ან მოტეხილობის დროს დროულად დაიდებთ ცივს, არსებითად დაჩქარებთ გამოჯანმრთელების დროს.

◎ ჭინჭარსიტყვა

სამიშავე

შენ სამშობლო ნაწილებად დ ა მ ი შ ა ლ ე,
ქვეყნის ბედი ჩამიკუპრე, გ ა მ ი შ ა ვ ე,
ვინ დასთვალოს, რაც ამ წლებში დ ა მ ი შ ა ვ ე...
... მე ხომ ცილი არ დაგწამე, არ გიშარე —
შენი „ღვაწლი“ გაგიხსენე, გაგიშალე...
— ღმერთო, საქმე რატომ გახდა ს ა მ ი შ ა ვ ე?..

რამაზ ილმელი

◎ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲐ „ᲘᲡᲜᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲜᲔᲡ“ მობინადრეთა საყურადღებოდ: 2013 წლის 15 ივნისს 13 საათზე, დოდაშვილის № 18-ში შედგება ამხანაგობა „ისნის სავანეს“ წევრთა საერთო კრება.

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ:

1. ამხანაგობა „ისნის სავანესა“ და კომპანია დექსუს შორის გაფორმებული ხელშეკრულების, კომპანია დექსუსის მხრიდან შეუსრულებლობის გამო, შეყვეტის შესახებ.

კრებაზე დასწრება სავალდებულოა.
თან იქონიეთ პირადობის მოწმობები.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲐ „ᲘᲡᲜᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲜᲔᲡ“ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

ᲔᲞᲘᲢᲐᲤᲘᲐ

მე ვარ ზვარაკი შენი, სამშობლოვ!..



ირაკლი ანდრიაძის ხსოვნას

ახლაც თვალწინ მიდგას, რამხელა ძალისხმევას ახმარდა ქვაბულის დამუშავებას, საძირკვლის არმირებას... მახსოვს, ჭაღარით მოსილი ირაკლი ანდრიაძის გაცისკროვნებული სახე, როცა მშენებლებმა სადრენაჟო არხი გათხარეს და პირველი დიდი კონსტრუქციები ჩაასხეს წმიდა სამების საკათედრო ტაძრის საძირკველში.

რთული დრო იყო.

ქვეყანა თავზე გვენგრეოდა და მხოლოდ სულიერება თუ შეკრავდა გახლეჩილ საზოგადოებას... აღარ მუშაობდნენ ქარხნები. ბატონი ირაკლის პირადმა ავტორიტეტმაც განაპირობა მაშინ ის, რომ ელიას მთისკენ დაძრულიყვნენ სამშენებლო მასალით დატვირთული ავტომანქანები... შეუძლებელი შეძლო სამშენებლო ფონდმა მისი მეთაურობით, შეუძლებელი შეძლო ქართველმა ხალხმა, იმ ადამიანებმა, რომლებმაც უკანასკნელი ლარი გაიღეს და განაწამები, დაღლილი მხრებით ზიდეს მშენებლობის სიმძიმე 2000 წლამდე, ვიდრე ამ ხალხის წიაღშივე შობილი გენერალური სპონსორი გამოჩნდებოდა!..

ბატონი ირაკლი, როგორც საავტორო ჯგუფის ხელმძღვანელი და მშენებლობის ფონდის თავმჯდომარე, დღედაღამ აქ ტრიალებდა. გრძნობდა უდიდეს პასუხისმგებლობას ერის წინაშე, იმ ხალხის წინაშე, რომლის შვილიც თვითონ იყო და რომელიც ძალიან უყვარდა!

ღმერთის ძალამ და საქმისადმი თავგანწირვამ სასურველი ნაყოფი გამოიღო — დღეს საქართველოს გვირგვინად ადგას ოქროსფერი, წმიდა ტაძარი, ღვთის სახლი, რომლითაც მომავალი ყოველთვის გამოარჩევს ჩვენს თაობას დანარჩენისგან და რომლითაც ყოველთვის იამაყებს ქართველი!

ზუსტად სამების დღეს გარდაიცვალა წმიდა სამების საკათედრო ტაძრის აღმშენებელი! წლისთავი შესრულდა მისი გარდაცვალებიდან!

საოცარი კაცი იყავით და ოჯახიც სანიმუშო დატოვეთ, ბატონო ირაკლი. გაუნელებელ ტკივილად იქეცით თქვენი შვილებისა და შვილიშვილებისთვის. თქვენმა უერთგულესმა მეუღლემ, ქალბატონმა ციალა ხაჟალიამ გამოსცა მოგონებათა წიგნები, სადაც წარმოჩენილია ის ურთიერთობები და დამოკიდებულებები, რომელიც თქვენ გქონდათ სამშობლოსთან, ადამიანებთან მიმართებაში. საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის ძალას უეჭველად გაძლევდათ ისიც, რომ მხარს გიმშვენებდათ ასეთი მხნე და ქართული სიდარბაისლით აღსავსე ქალბატონი, რომელიც გათავისუფლებდათ ოჯახური საზრუნავისგან ისე, რომ მთლიანად სწირავდით თავს საქმეს, რომელსაც ემსახურებოდით!

1998 წელს, როდესაც მშენებლობის ფონდმა მორიგ სამუშაო თათბირზე დაგვასწრო ჟურნალისტები, ბატონმა ირაკლიმ ისე ნათლად წარმოაჩინა მშენებლობის ირგვლივ არსებული პრობლემები, რომ ზოგიერთ ჩვენგანს გულში იმ აზრმაც გაგვიელვა, შეძლებდა კი იმდროინდელი საქართველო ამ ტაძრის აღმართვას. — ღვთის ხელში კი შეუძლებელი მართლაც არაფერი ყოფილა!—

მაშინ იქ პატარა ლექსიც დაგიწერეთ, რომელიც ასე მთავრდებოდა:

მე ვარ ზვარაკი შენი, სამშობლოვ,
შენია ჩემი ფიქრიც და სევდაც,
მარჯვენა ხელში მეპყრა გონიო,
მამულის ვალი ბედივით მდევდა!..

სხვა რომ არაფერი გაგეკეთებინათ, მარტო ეს ტაძარიც ეყოფა თქვენს სულს უკვდავსაყოფად...

ლია ჭილლაძე

გურამ გოგიაშვილი, ჯემალ ინჯია, ზაურ წაქაძე და გურამ ვაშაკიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი იურისტი, ცნობილი პოეტი

ᲕᲐᲪᲐ ᲥᲐᲪᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა 6 VI, 15 სთ. ნუცუბიძის 24.

თენგიზ კალანდაძე, სპარტაკ ხუნწელია, შალვა მგალობლიშვილი მწუხარებით იუწყებიან აწ განსვენებული უახლოესი მეგობრის მარლენ ცაცუას ძმის

ᲘᲕᲔᲠᲘ ᲪᲐᲪᲣᲐᲡ

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ჭირისუფალთ.

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან ინსტიტუტის თანამშრომლის თურმან ოზიაშვილის ძმის

ᲖᲐᲖᲐ ᲝᲖᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მილოცვა

ღირსეულ მამულიშვილს, ადამიანური თვისებებით აღსავსე, მეგობრობის უდიდესი ნიჭით დაჯილდოებულ კაცს **ოლეგ გავაშელაშვილს** ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ოჯახთან ერთად მრავალი ბედნიერი წლის გატარებას.

მეგობრები:

ლეონარდო დევდარიანი, შალვა მგალობლიშვილი, რომა ლუტიძე.

დავით გოგორიშვილს

ბატონო დავით, გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს. გისურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას თქვენს ძვირფას ოჯახთან ერთად.

თქვენი ალეკო კაკულია

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაშინგტონი ვახელებოდან

რუსეთში ძართული პროდუქციის შეტანას ისევ აკრძალავენ?

ახლა, როცა საქართველო-რუსეთს შორის სავაჭრო ურთიერთობები აღდგა, რუსეთის მთავარი სანიტარი გენადი ონიშჩენკო ქართულ „ბორჯომს“ კვლავ იწუნებს. უფრო მეტიც, რუსეთში აფრიკული ცხელების გავრცელებაში ქართულ მხარეს ადანაშაულებს. ამ მიზანს ემსახურება ონიშჩენკოს განცხადებები, რამდენად ადეკვატურია ქართული მხარის რეაქცია და შესაძლებელია თუ არა, კვლავ აიკრძალოს ქართული პროდუქცია რუსეთის ბაზარზე?

— არ არის გამორიცხული, რომ კვლავ აიკრძალოს, რადგან საქართველოსა და რუსეთს შორის პოლიტიკური პრობლემა დგას, — მიაჩნია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერს კახა კუკავას.

„ძრონიკა“

„მოხდება მარიხუანას დეკრიმინალიზაცია და არა ლეგალიზება“

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

— განმარტავს პარლამენტის ჯანმრთელობის კომიტეტის წევრი გუგული მაღრაძე, — აქ ლაპარაკია იმაზე, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობით მარიხუანას მოწევა არ დაისჯება, იქნება მხოლოდ ადმინისტრაციული ჯარიმა. საზოგადოებაში შექმნილია მცდარი აზრი და გონიათ, რომ მარიხუანა გაიყიდება ყველგან და სადაც გინდა მოწევ. თუმცა, სინამდვილეში ასე არ არის. პარლამენტში იქნება განხილვა, რადგან მარიხუანას მწეველებმა ჯერ კიდევ აგონ კანონის წინაშე პასუხი.

„რეზონანსი“

რა ხდება პატიმარ მერაბიშვილის საკანში

უმცირესობის წარმომადგენელმა გიგი წერეთელმა საკანში მოინახულა პატიმარი ვანო მერაბიშვილი. გიგი წერეთელი ყვება: „საკანში მერხისმაგვარი მაგიდა და მაგარი საწოლი დგას. ფუფუნების საგნად მხოლოდ რადიომიმღები შეიძლება ჩავთვალოთ. ვანოს ციხის ადმინისტრაციის მიმართ პრეტენზიები არა აქვს, ერთადერთი — უტელევიზორობა აწუხებს. იგი შეცდომებს აანალიზებს, ბევრს ფიქრობს და აწუხებს, რომ საპყრობილეში მოხვდა.

„ვერსია“

„თურქეთი არამეგობრულად იქცევა“

— ამბობს უფლებადამცველი გიორგი თევზაძე და საუბრობს იმაზე, თუ როგორ აღმართეს თურქებმა ქალაქ ანტალიაში ოკუპირებული დე ფაქტო აფხაზეთის დროშა. — ეს კიდევ ერთი არამეგობრული ნაბიჯია, რაც, სამწუხაროდ, უკვე ტენდენციის სახეს იღებს. წინა პერიოდში ადგილი ჰქონდა დე ფაქტო აფხაზეთის კულტურის დღეების ჩატარებას, რაზეც ჩვენი მხრიდან რეაგირების წერილი გავავრცელეთ, მაგრამ მასზე რეაგირება არ ყოფილა. საინტერესოა, რა რეაქცია ექნებათ, ჩვენ რომ გამოგვეცხადებინა მხარდაჭერა თურქეთში კომპაქტურად მცხოვრები ქურთებისთვის?!

„ახალი თაობა“

◎ ჩვენი კარაბადინი

გენიალურობის ბუნება

ჩვილი იბადება გენიალურ მათემატიკოსად ან მხატვრად დედის ჰორმონალური ბალანსის გამო ფეხმძიმობის დროს, ასეთ დასკვნამდე მივიდნენ განვითარების ფსიქოლოგიის სპეციალისტები ალბერტას უნივერსიტეტიდან (ამერიკის შეერთებული შტატები). აღმოჩნდა, რომ ტესტოსტერონის მუცლისშიდა სიუსვე სტიმულს აძლევს ტვინში, განსაკუთრებით შუბლის მარჯვენა ნაწილში, კავშირების უფრო ინტენსიურ ჩამოყალიბებას.

ანალოგიით მეცნიერები ვარაუდობენ, რომ შემოქმედებითი უნარის ნაკლოვანება ისახება მუცლის შიგნით, კერძოდ, ტესტოსტერონის ბუნებრივი დონის უკმარისობის შედეგად. თუმცა, საჭიროა დამატებითი გამოკვლევები.

მწეველის სისხლძარღვები

კავშირი მოწევასა და რევმატოიდული ართრიტის განვითარების რისკთან ქალებში აღმოაჩინეს შვედმა მეცნიერებმა კაროლინის ინსტიტუტიდან.

რევმატოიდული ართრიტი — ესაა შემაერთებელი ქსოვილის ქრონიკული ანთებითი დაავადება, რომელიც უმთავრესად შეეხება ხელებისა და ფეხების პატარა სისხლძარღვებს. დაავადების განვითარების 2-ჯერ მეტი რისკი აღმოაჩნდათ იმ ქალებს, რომლებმაც მოწევა 25 წლამდე დაიწყეს (მათთან შედარებით, ვისაც არასოდეს მოუწევია). ეს რისკი იზრდება არა მხოლოდ მოხმარებული სიგარეტების ოდენობასთან, არამედ მწეველის სტაჟთან დაკავშირებითაც. უფრო მეტიც, მავნე ჩვევაზე ჯერ კიდევ 15 წლის წინათ უარის თქმის შემთხვევაშიც კი ყოფილ მწეველებს უნარჩუნდებათ რევმატოიდული ართრიტის განვითარების გაზრდილი შესაძლებლობა. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაავადების გაჩენის რისკი 30 პროცენტით ქვეითდება.

კვერცხი დაბლა სწევს წნევას?

კვერცხის ცილები დაეხმარება ჰიპერტონიით დაავადებულებს, გააკონტროლონ არტერიული წნევა მათში არსებული RVPSL პეპტიდის შემცველობის წყალობით, მიაჩნიათ ჩინელ მეცნიერებს. მათ შეამოწმეს პეპტიდი ვირთხებზე, და აღმოჩნდა, რომ მას შეუძლია, თავიდან აგვაცილოს ჰიპერტონიის დაავადება. როგორც ჩანს, პეპტიდი მოქმედებს ორგანიზმზე ისევე, როგორც პრეპარატები არტერიული ჰიპერტენზიისა და გულის უკმარისობისთვის. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პეპტიდი არ ინგრევა თერმული დამუშავების დროს.

ამ ინფორმაციას კომენტარს უკეთებს სრულიად რუსეთის კარდიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების საპატიო პრეზიდენტი რაფაელ ოგანოვი:

— პეპტიდი წნევას კიდევაც რომ უგდებდეს ცხოველებს, ეს როდი ნიშნავს, რომ ის შეიძლება ადამიანთა სამკურნალოდაც გამოიყენო.

კვირის ციფრები

50 წელი — ადამიანის სიცოცხლის ყველაზე ბედნიერი დროა, დაადგინეს ამერიკელმა მეცნიერებმა.

თუ რომელი პროდუქტები უნდა შევზღუდოთ ჰიპერტონიის დროს და რომელი სასარგებლო არტერიული წნევის ნორმალიზაციისთვის, დიდი ხანია ცნობილია.

უნდა ვჭამოთ ნაკლები მარილი. ჩვენ დღეში მას 12-15 გრამს ვღებულობთ, ნორმა კი 5-6 გრამია. მაგრამ მარილის ძირითადი წყაროა არა სოლიანკა, მაგიდაზე რომ გვიდევს, არამედ კვების პროდუქტები: კონსერვები, მწნილეული, ნახევარფაბრიკატები, პურიც კი... სამწუხაროდ, ჩვენში არ უშვებენ პროდუქტებს მარილის მცირე შემცველობით.

უნდა შევზღუდოთ ალკოჰოლის მიღება. უსაფრთხო ზომა მამაკაცებისთვის 40-50 გრამი მაგარი სასმელია დღეში ან 2 ბოკალი ღვინო, ქალებისთვის — 1 ბოკალი ღვინო.

გამოკითხვა

როგორ უყურებთ იმ იდეას რომ, აიკრძალოს ალკოჰოლის მიყიდვა იმ პირებისთვის, ვინც 21 წელზე ახალგაზრდაა?

61 პროცენტი — კარგად. ერი ლოთობას ეჩვევა.

31 პროცენტი — ცუდად. ცოლი შეირთო და დაიცვა სამშობლო 18 წლის ასაკში შეიძლება, ღვინის ყიდვა კი არა?

8 — არ ვიცი, ამაზე არასოდეს მიფიქრია.

სულ გამოკითხვაში მონაწილეობა 984 კაცმა მიიღო.

თვალყური უნდა ვადევნოთ წონას. მამაკაცების წელის შემოწერილობა უნდა იყოს 94 სანტიმეტრზე ნაკლები, ქალებისა — 80 სანტიმეტრზე ნაკლები.

ჰიპერტონიის დროს სასარგებლოა ხილი, ბოსტნეული, რძის პროდუქტები ცხიმის მცირე შემცველობით, პროდუქტები, რომლებიც მდიდარია კალიუმით — ბანანი, კარტოფილი, მოხარშული, როგორც იტყვიან ხოლმე, „მუნდირში“.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

◎ ინცინალი ანეკდოტები

— ბატონო, ცოლიანი ბრძანდებით?
— არა, უბრალოდ კატამ დამკაწრა.

* * *

ცოლი ერთადერთი საყოფაცხოვრებო ხელსაწყოა, რომელსაც არ აქვს გამოსართავი ღილაკი.

* * *

თუ თქვენი საქმეები ცუდად მიდის, ნუ ივლი მათთან ერთად.

* * *

ადრე მეფოკუსე მაყურებლებს აჩვენებდა მონეტას, რის შემდეგაც ეს მონეტა ქრებოდა და სხვა ადგილას გამოჩნდებოდა. ეს სასწაულად ითვლებოდა.

ახლა კი ნებისმიერი ჩინოვნიკი თავისუფლად აკეთებს ასეთ ფოკუსებს ფულით.

* * *

მოჭადრაკე გოგონა იძულებული გახდა, რომ ფიგურა შეეწირა, მაგრამ, სამაგიეროდ, ისეთი ბიჭუნა გააჩინა, თვალი ზედ დაგრჩებოდათ.

* * *

თუ წაიქცევი, წამოგაყენებენ, მაგრამ თუ სულიერად დაეცემი, გადაგთელავენ.

* * *

— არ დადგა შენობით მიმართვაზე გადასვლის დრო? —ეკითხება ბიჭი გოგოს.
— ძალიან ხომ არ აჩქარებთ მოვლენებს? უმჯობესია, ჩემი ლიფი მომაწოდოთ.
— სად არის?
— იატაკზე, თქვენი ტრუსის ქვემოთ გდია...

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com